645/
1985/2



ISSN 0321-1509

# საქართველოს ქალი

4
1985

ეროვნული ბიბლიოთეკა



**მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი

„საქართველოს ქალი"

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საინფორმაციო ცნობა

17.970

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1985 წლის 11 მარტს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დავალებით პლენუმი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. ს. გორბაჩოვმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. უ. ჩერნენკოს გარდაცვალებასთან დაკავშირებით პლენუმის მონაწილეებმა წუთიერი სამგლოვიარო დუმილით სცეს პატივი კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს ხსოვნას.

პლენუმმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა დიდი დანაკლისი განიცადეს. გარდაიცვალა გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, პატრიოტი და ინტერნაციონალისტი, თანამიმდევრული მებრძოლი კომუნიზმის იდეალების გამარჯვებისა და ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრებისათვის.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკომ მთელი თავისი სიცოცხლე შეალია ლენინური პარტიის საქმეს, საბჭოთა ხალხის ინტერესებს. სადაც უნდა გაეგზავნა პარტიას, იგი ყველგან მისთვის ჩვეული თავდადებით იბრძოდა სკკპ პოლიტიკის განხორციელებისათვის.

დიდ ყურადღებას უთმობდა კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო იმ კურსის თანამიმდევრულ გატარებას, რომლის მიზანია განვითარებული სოციალიზმის სრულყოფა, ეკონომიკური და სოციალური განვითარების დიდმნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტა, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის დონის ამაღლება, მასების შემოქმედებითი აქტიურობის შემდგომი გაზრდა, იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესება, დისციპლინის, კანონიერებისა და წესრიგის განმტკიცება.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკომ დიდი წვლილი შემატა მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას, სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის განხორციელებას, სოციალისტური თანამეგობრობის პოზიციების განმტკიცებას. მისი ხელმძღვანელობით მტკიცედ და თანამიმდევრულად ხორციელდებოდა სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები, საკადრისი პასუხი ეძლეოდა იმპერიალიზმის აგრესიულ ზრახვებს, წარმოებდა დაუღალავი ბრძოლა იმპერიალიზმის მიერ თავსმოხვეული გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის, ხალხთა საიმედო უშიშროების უზრუნველყოფისათვის.

თვალისჩინივით უფრთხილდებოდა კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო ჩვენი კომუნისტური პარტიის ერთიანობას, ცენტრალური კომიტეტისა და მისი პოლიტბიუროს საქმიანობის კოლექტიურ ხასიათს. იგი მუდამ ისწრაფოდა, რომ პარტიას ყველა დონეზე ემოქმედა როგორც შეკრულ, აწყობილ და მებრძოლ ორგანიზმს. მას კომუნისტთა აზრებისა და საქმეების ერთიანობა მიაჩნდა ყველა ჩვენი წარმატების, ნაკლოვანებათა დაძლევის საწინდრად, განუხრელი წინსვლა-განვითარების საწინდრად.

პლენუმმა ხაზი გაუსვა, რომ ამ გლოვის დღეებში კომუნისტები, მთელი საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მისი პოლიტბიუროს გარშემო, საბჭოთა ადამიანები სრულიად საფუძვლიანად რაცხენ პარტიას საზოგადოების ხელმძღვანელ, წარმმართველ ძალად და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თავდადებით იბრძოლონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკის რეალიზაციისათვის.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა ღრმა სამძიმარი გამოუცხადეს განსვენებულის ოჯახის წევრებს და ახლობელ ნათესავებს.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის არჩევის საკითხი.

პოლიტბიუროს დავალებით ამ საკითხზე სიტყვა წარმოთქვა პოლიტბიუროს წევრმა ამხ. ა. ა. გრომიკომ. მან შეიტანა წინადადება აირჩიონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად ამხ. მ. ს. გორბაჩოვი.

პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად ერთსულოვნად აირჩია ამხ. მ. ს. გორბაჩოვი.

შემდეგ პლენუმზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. მ. ს. გორბაჩოვი. მან ულრმესი მადლობა მოახსენა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს დიდი ნდობისათვის და აღნიშნა, რომ ძალზე კარგად ესმის, რაოდენ დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება ამასთან დაკავშირებით.

ამხ. მ. ს. გორბაჩოვმა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს აღუთქვა, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებს, რათა ერთგულად ემსახუროს ჩვენს პარტიას, ჩვენს ხალხს, დიად ლენინურ საქმეს, რათა განუხრელად ხორციელდებოდეს სკკპ საპროგრამო მითითებები, უზრუნველყოფილ იქნეს მემკვიდრეობითობა სსრ კავშირის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცების, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, მშვიდობის დამკვიდრების ამოცანების გადაწყვეტაში, რათა განუხრელად ხორციელდებოდეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

ამით ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.



ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



კ. უ. ჩერნენკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვ. ი. ლენინის წერილები დედისადმი



ლენინის ეპისტოლიარულ მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დედისადმი, მარიამ ალექსანდრეს ასულ ულიანოვასადმი მიწერილ ბარათებს. ისინი თავის დროზე ჟურნალ „პროლეტარსკაია რევოლუციაში“, „ლენინის კრებულებში“ დაიბეჭდა და ცალკეც გამოიცა („წერილები მახლობლებისადმი“).

ლენინი დედას წერილს კვირაში ერთხელ მაინც სწერდა. ყველაზე სრულად შემონახულია 1908—1909 წლების მიმოწერა. ამ მასალის მიხედვით რამდენადმე შეიძლება მსჯელობა ვ. ი. ლენინის ცხოვრების წესზე, მის ჩვეულებებზე; მიდრეკილებებზე, ადამიანებისადმი დამოკიდებულებაზე.

ლენინის და მ. ი. ულიანოვა აღნიშნავს, რომ ლენინს განსაკუთრებით დედა უყვარდა. იგი ზრუნავდა, რომ დედას უკეთ, მშვიდად ეცხოვრა. მის წერილებში უამრავი შეკითხვაა დედის ჯანმრთელობის შესახებ: „კარგად მოეწყო თუ არა საზამთროდ?.. „თბილია თუ არა ბინა?“ „ზაფხულში მას კარგი დასვენება ესაჭიროება“, „გისურვებ ნაკლები ირბინო, მეტი დაისვენო და ჯანმრთელი იყო“. მარია ილიას ასული იგონებს, რომ „ლენინის ყურადღება დედისადმი უფრო ძლიერ მაშინ მჟღავნდებოდა, როცა დედას თავს რაიმე უბედურება დაატყდებოდა, უბედურება კი დედას მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე არ მოკლებია. ჩვენი ოჯახის ხან ერთ, ხან მეორე წევრს, ზოგჯერ რამდენიმესაც ერთად აპატიმრებდნენ, დედას კი, რომელიც მაშინ უკვე ხანში იყო შესული, გამუდმებით უნდა ერბინა ციხეებში პატიმარი შვილების სანახავად და სანოვაგის გადასაცემად... დედა ყოველთვის იმ შვილთან იყო, ვისაც განსაკუთრებით სჭირდებოდა მისი დახმარება“.

მარიამ ულიანოვა შენიშნავს, რომ ვლადიმერ ილიჩის დამახასიათებელი თვისებები იყო პუნქტუალობა და მკაცრი ეკონომია საერთო სახსრების საკუთარი საჭიროებისათვის ხარჯვაში, ეს თვისებები ვალოდიას, ალბათ, მემკვიდრეობით გადმოეცა დედისაგან, რომელსაც ბევრ რამეში ჰგავდა, ხოლო დედაჩვენი, — დასძენს მ. ი. ულიანოვა, გერმანელი იყო და ხასიათის აღნიშნული თვისებები მას ძალიან ჰქონდა განვითარებულიო.

საინტერესო ბიოგრაფია აქვს ამ სახელოვან დედას: იგი ექიმის ქალიშვილი იყო, მიიღო ოჯახური განათლება. ექსტერნის წესით ჩააბარა გამოცდები სიმბირსკში სახალხო მასწავლებლის წოდებაზე. განათლებულმა, დიდი კულტურის ქალმა კარგად იცოდა რუსული და მსოფლიო ლიტერატურა, ფრანგული, გერმანული და ინგლისური ენები, უყვარდა მუსიკა და საუკეთესო შემსრულებელი იყო, გამოირჩეოდა ძლიერი ნებისყოფითა და სულიერი სილამაზით, კეთილშობილებით; მთელი თავისი ცხოვრება მთლიანად მიუძღვნა ოჯახს, ბავშვებს, სურდა ისინი აღეზარდა პატიოსან, განათლებულ, იდეურ ადამიანებად. განსაკუთრებული პედაგოგიური თვისებებით დაჯილდოებულმა მოსიყვარულე დედამ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა შვილებზე. მას ესმოდა მათი რევოლუციური მისწრაფებები, მეგობრობდა მათთან. დედამ უდიდესი სიმტკიცით გადაიტანა ყველა ის უბედურება, რომლებიც ზედიზედ მეხივით დაატყდა ულიანოვების ოჯახს: ქმრის გარდაცვალება (1886), ცარიზმის დამქაშების მიერ შვილის — ალექსანდრეს სიკვდილით დასჯა (1887), ქალიშვილის ოლღას გარდაცვალება (1891), დანარჩენი შვილების მრავალგზის დაპატიმრება და გადასახლება (ვლადიმერის, ანას, დიმიტრისა და მარიამისა)...

ლენინსა და მის და-ძმებს უსაზღვროდ უყვარდათ დედა, ფიქრობდნენ მასზე, ზრუნავდნენ, თუ შორს იყვნენ, წერილებით უკავშირდებოდნენ (ვ. ი. ლენინის დედა გარდაიცვალა 1916 წ., დასაფლავებულია ლენინგრადში, ვოლკოვის სასაფლაოზე).

ნ. კრუპსკაია გადმოგვცემს, რომ ილიჩს დედისაგან დაჰყვა ნებისყოფა და ადამიანისადმი სიყვარული. 1899 წ., როცა პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა ზვოლინსკიმ გესლიანად მიმართა მარიამ ალექსანდრეს ასულს: „უნდა ამაყობდეს თქვენი შვილების პატრონი: ერთი — ჩამოახრჩეს, მეორესაც აგრეთვე მარყუჟი ელოდება“, — წამოდგა მარიამ ალექსანდრეს ასული და ღირსეულად მიუგო: „დიახ, მე ვამაყობ ჩემი შვილებით“...

ვ. ი. ლენინის მიმოწერები დედისადმი 1893 წლიდან იწყება (მაშინ მარიამ ალექსანდრეს ასული 58 წლისა იყო). პირველი წერილი დათარიღებულია 5 ოქტომბრით. მასში ლაპარაკია ვ. ი. ლენინის ცხოვრების პირობებზე, იმაზე, თუ რა ეკონომიურად და აკურატულად ხარჯავს ფულს.

დედისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში ილიჩი წერს, რომ ვარჯიშობს ენაში, რომ მას გერმანული დიდი გაჭირვებით ესმის, ვერ აგებინებს თანამოსაუბრეს, და მერე დასძენს: „სულით არ ვეცემი და საკმაოდ გულმოდგინედ ვამტვრევ გერმანულ ენას“. აქ, რა თქმა უნდა, ლაპარაკია გერმანელების ცოცხალ წარმოთქმაზე, რომელიც პირველ ხანებში ვ. ი. ლენინის სმენას ეხამუშებოდა, შემდეგ თანდათან შეეჩვია და ამ ენას საფუძვლიანად დაეუფლა.

„ძვირფასო დედიკო“! — ასე იწყებდა ლენინი წერილის წერას. მადლობის გამოსახატავად იყენებდა ფრანგულ სიტყვას ფრანგულივე ტრანსკრიპციით: „მერსი“. წერილთა უმრავლესობა ასე მთავრდებოდა: „გკოცნი მაგრად. შენი ვ. უ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ-ერთი წერილიდან ჩანს, რომ ვ. ი. ლენინი ინტენსიურად მუშაობდა ბერლინის სამეფო ბიბლიოთეკაში. ამ ფაქტთან დაკავშირებით ნ. კ. კრუპსკაია აღნიშნავს: „1895 წელს იგი (ვ. ი. ლენინი — რ. შ.) პირველად გაემგზავრა საზღვარგარეთ; იღებს უამრავ ახალ შთაბეჭდილებას, რამდენიმე კვირას ცხოვრობს ბერლინში, თვალყურს ადევნებს მუშათა ცხოვრებას და ამავე დროს მეცადინეობს ბერლინის საიმპერიო ბიბლიოთეკაში“.

„როგორც იქნა, მივიღე, ძვირფასო დედიკო, თქვენგან ამბავი, რამაც ძალიან გამახარა“, — იტყობინება ვ. ი. ლენინი 1897 წ. 26 მარტით დათარიღებულ წერილში, საინტერესოა ის ფაქტი, რომ როცა ვ. ი. ლენინი დედ-მამას სწერდა წერილს, მაინც „ძვირფასო დედიკოთი“ იწყებდა.

„წერილები სწორედ იმიტომ არის მოკლე, რომ ცხოვრება მეტისმეტად ერთფეროვანია: მთელი გარეგანი ვითარება უკვე აგიწერე: შინაგანი მხრივ კი ერთი დღე მეორესაგან მხოლოდ იმით განსხვავდება რომ დღეს ერთ წიგნს კითხულობ, ხვალ მეორეს; დღეს სასეირნოდ მიდიხარ სოფლიდან მარჯვნივ, ხვალ — მარცხნივ; დღეს ერთ ნაშრომს წერ, ხვალ — მეორეს“.

წერილებში ხშირად არის აღნიშნული, თუ რა ბეჭდური შეცდომები გაეპარათ მას წიგნებში, რა წიგნები წაიკითხა, რომელი არ იშოვება ბიბლიოთეკაში და სთხოვს დაუყოვნებლივ გამოუგზავნონ. ხშირად ლენინი აღნიშნავდა ამა თუ იმ თარგმანის თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას. ეხებოდა თავისი შრომების ბეჭდვის საკითხებს. ერთგან დედას ატყობინებდა: „ანიუტა“ მწერს, რომ ამიჩისის წიგნი საბავშვოა. ეს არ ვიცოდი, მაგრამ საბავშვო წიგნიც აქ სასარგებლო იქნება, ვინაიდან პრომინსკის ბავშვებს საკითხავი არაფერი აქვთ. მე იმასაც კი ვფიქრობდი, რომ ასეთი რამ გამეკეთებინა; გამომეწერა ჩემთვის „ნივა“. პრომინსკის ბავშვებისათვის ეს ძალიან სამხიარულო იქნებოდა“.

ზოგ წერილში ლაპარაკია აუტანელი საცენზურო პირობების შესახებ, იმაზე, რომ ვ. ი. ლენინს სჭირდებოდა ინგლისური ენის გრამატიკა, განსაკუთრებით სინტაქსი, გეოგრაფიულ და საკუთარ სახელთა ლექსიკონი.

1898 წლის მაისის წერილიდან ირკვევა, რომ ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია შუშენსკოეში იმ დროს ჩასულა, როცა ვ. ი. ლენინი სანადიროდ ყოფილა. დაბრუნებულ ვლადიმერ ილიჩს ძალიან გაუხარდა „სტუმრების“ ჩამოსვლა. დედას იგი წერს: „ჰო, ანიუტა მეკითხებოდა, ვის ვეპატიჟები ქორწილში: გეპატიჟებით ყველას, ოღონდ არ ვიცი, ხომ არ აჯობებს ტელეგრაფით გამოგიგზავნოთ მოწვევა!! ნ. კ-ს, როგორც იცი, ტრაგიკომიკური პირობა წაუყენეს: თუ დაუყოვნებლივ არ დაქორწინდება, უკან დაბრუნდეს უფაშიო. მე სრულებითაც არ მინდა დავუშვა ეს, და ამიტომ ჩვენ უკვე ვიწყებთ „დავიდარაბას“, რომ მოვასწროთ ჯვარის დაწერა მარხვამდე („პეტრეპავლობამდე“).

ვ. ი. ლენინი დადიოდა თეატრებში, მუზეუმებში, კონცერტებზე. აი, რას სწერს ის დედას მიუნხენიდან: „ამ დღეებში ოპერაში ვიყავი, დიდი სიამოვნებით მოვისმინე „ურიის ქალი“. იგი ერთხელ მომისმენია ყაზანში (როცა ზაკრუევსკი მღეროდა). ვგონებ ცამეტიოდე წლის წინათ, მაგრამ ზოგიერთი მოტივი ჩამრჩა მეხსიერებაში. მუსიკა და სიმღერა კარგია. თეატრებშიც (გერმანულში) რამდენჯერმე ვიყავი, და ზოგჯერ ვიგებდი, ყოველ შემთხვევაში, საერთოდ და მთლიანად. დადიხართ თუ არა თქვენ მოსკოვის თეატრებში“? სხვა წერილში ილიჩი წერდა: „როგორია ჩეხოვის ახალი პიესა „სამი და“? ნახეთ თუ არა და როგორი გეჩვენათ? მე გაზეთებში გამოხმაურება წავიკითხე“.

„პირველად ვიყავით კარგ კონცერტზე,— წერდა ლონდონიდან სამარაში ილიჩი დედას, — და ძალიან ნასიამოვნები დავრჩით, — განსაკუთრებით ჩაიკოვსკის უკანასკნელი სიმფონიით... თქვენთან სამარაში თუ არის ხოლმე კარგი კონცერტები? გერმანულ თეატრში ერთხელ ვიყავით. ნეტავ წამიყვანა რუსულ სამხატვრო თეატრში, მაჩვენა „ფსკერზე“,

საინტერესოა მიუნხენიდან გამოგზავნილი ბარათი, რომელიც ენებში მეცადინეობას ეხება. „ვნანობ, ჩეხურ ენაში რომ არ ვმეცადინეობდი. საინტერესოა, ძალიან ახლოა პოლონურთან, უამრავი ძველი რუსული სიტყვებია“.

ზოგ წერილს ვ. ი. ლენინი და ნ. კ. კრუპსკაია ერთად წერდნენ, ზოგჯერ წერილი დასრულებულია და ნ. კ. კრუპსკაია ახლად აგრძელებს. მაგალითად, სტირსუდენიდან (ფინეთი) მოსკოვის გუბერნიის სერპუხოვის მაზრის სადგურ მიხნევოში 1907 წ. 27 ივნისს გაგზავნილი წერილი გაგრძელებულია ნ. კ. კრუპსკაიას მიერ: „ძვირფასო მარია ალექსანდრეს ასულო, ვალოდიას ჩვეულებად არა აქვს მოკითხვის წერა, ამიტომ მე თვითონ ჩემ მაგიერ და დედის მაგიერ გითვლით სალამს“...

შეინიშნება პირიქითაც: მართალია, წერილს ვ. ი. ლენინი და ნ. კ. კრუპსკაია წერდნენ, მაგრამ ჯერ ნ. კ. კრუპსკაია წერს ვრცლად, ბოლოში კი ილიჩი აგრძელებს „ძვირფასო დედიკო! ორიოდე სიტყვას მივაწერ ნადიას წერილს“.

ერთ-ერთ წერილში ვ. ი. ლენინი სწერს დედას, თუ როგორ მუშაობს მახიზმის და ემპირიოკრიტიციზმის წინააღმდეგ, როგორ წაიკითხა და რა შთაბეჭდილება მოახდინა მარსის მცხოვრებთა შესახებ ინგლისელი ავტორის წიგნმა, აწვდის ინფორმაციას იმის შესახებაც, რომ გამოვიდა გორკის ახალი მოთხრობა „უკანასკნელი“ და სხვ. „ყველას მეტისმეტად გაგვიხარდა, როცა შევიტყვეთ, რომ ყირიმში მოწყობილხართ და შენ, რამდენადმე წესიერად დაისვენებ,— წერდა ილიჩი დედას პარიზიდან ალუპკაში. „ძალიან გთხოვ, ჩემო ძვირფასო, ნურაფერს ნუ გამომიგზავნი და პენსიიდან ეკონომიას ნუ გასწევ“ — ემუდარებოდა ვ. ი. ლენინი დედას.

„გუშინ წავიკითხე რეფერატი ტოლსტოის შესახებ, — შეიძლება ამ რეფერატით შემოვიარო შვეიცარია“. მაგრამ, როგორც ჩანს, შვეიცარიაში ტოლსტოის შესახებ რეფერატის წასაკითხავად ვ. ი. ლენინი არ წასულა. „ძვირფასო დედიკო! გწერ ლიუცერნიდან. მოულოდნელად... მოვხვდი შვეიცარიაში, დავდივარ ქალაქებში და ვკითხულობ რეფერატს“. მართლაც, ვ. ი. ლენინმა 1911 წელს წაიკითხა რეფერატი თემაზე „სტოლიპინი და რევოლუცია“, ამასვე კითხულობდა ციურიხში, ბერნში, ჟენევასა და პარიზში.

ერთ-ერთ ბარათში ილიჩი დედას ატყობინებდა: „პარიზიდან ამ ზაფხულში ძალიან შორს წავედი — კრაკოვში. თითქმის რუსეთია! ებრაელებიც რუსებს გვანან, რუსეთის საზღვარიც რვა ვერსზეა... ფეხშიშველა დედაკაცები ჭრელი კაბებით დადიან — თითქოს მთლად რუსეთია“.

კრაკოვიდან გაგზავნილ ერთ ბარათში ნ. კ. კრუპსკაია წერს დედამთილს, მთელს ქალაქში ერთი ნაცნობი ოჯახია, ჰყავთ საინტერესო ბიჭუნა, მაგრამ დედამისს ვერ შევეთვისეთო, ხოლო ამ წერილს ილიჩი უმატებს: „ვიყავით შევჩენკოს პატივსაცემად გამართულ უკრაინულ საღამოზე. მე საშინლად ცუდად მესმის უკრაინული“. აქ იგულისხმება ის იუბილე, რომელიც მიეძღვნა შევჩენკოს დაბადების მე-100 წლისთავს.

დედა უზომოდ უყვარდა ილიჩს. ნ. კრუპსკაია იგონებს: „ვლადიმერ ილიას ძეს დედა ყოველთვის ენატრებოდა“. „საოცარი ნებისყოფა აქვს, — მითხრა მან ერთხელ,— მამა რომ მოსწრებოდა შვილის უბედურებას, არ ვიცი, გადაიტანდა თუ არა“... ერთხელ გაზეთები იუწყებოდა, გარდაიცვალა ვინმე მარიამ ალექსანდრეს ასული ულიანოვა. „მივედი ვლადიმერ ილიას ძესთან და რას ვხედავ, — სახეზე მიტკლის ფერი ადევს. დედა გარდამეცვალაო, — მითხრა. თურმე ვიღაც სხვა მ. ა. ულიანოვას გარდაცვალებას იუწყებოდა გაზეთი“.

ვ. ი. ლენინის მიერ დედისადმი მიწერილი ბარათები უძვირფასესი დოკუმენტებია, საიდანაც ანკარა წყაროსავით ჩქეფს დიდი სიყვარული და პატივისცემა მშობლისადმი.

„განსაცვიფრებელი ფაქტია, რომ გენიალური ადამიანების უმრავლესობას დიდებული დედები ჰყავდათ, რომ მათ თავიანთი დედისაგან ბევრად უფრო მეტი მიიღეს, ვიდრე მამებისაგან“. (ჰ. ბოკლი);

„ვადიდოთ ქალი — დედა, ვისმა სიყვარულმაც არ იცის ზღუდე, არ იცის დაბრკოლება, ვისი ძუძუთიც გამოზრდილია მთელი მსოფლიო! ყოველივე მშვენიერი ადამიანში მზის სხივებისა და დედის რძისგან არის, აი, რა გვმსჭვალავს ჩვენ სიცოცხლის სიყვარულით!“ (მ. გორკი).

**პროფესორი რ. შამელაშვილი**

## სკკპ 27-ე ყრილობის შესახვედრად



სელექციონერი ნატა ქემხაძე და ზოოტექნიკოსი რუსუდან მალაღურაძე

# დღეს ეკრანზეა

### რეპორტაჟი თელეთის ექსპერიმენტული მეურნეობა-ტექნიკუმიდან

წაბლისფერთმიანი ქალიშვილი სულ ახალგაზრდაა. დიდრონ თვალებში იკითხება, რომ მძიმე მოვალეობა, საშური საქმე აკისრია. ამიტომ დროდადრო სახეზე შეშფოთება ეხატება, ვარდისფერი ლაწვები ეფაკლება, ქვედა ტუჩს იკვნეტს და...

თუ მასთან საუბარი გსურთ, უნდა გაჰყვეთ, მაგრამ ჯერ მარტო გაუშვით, სულ მალე ტელეეკრანზე ნახავთ, რასაც აკეთებს.

უზარმაზარ დარბაზში, რომელსაც სადისპეტჩერო ჰქვია, ტელევიზორის ეკრანი ციმციმებს. მერე თანდათანობით იკვეთება შავი ლაქები და ნათლად ჩანს გადახურული სასეირნო მოედნიდან შავთეთრა ფური საწველი საამქროსაკენ როგორ მიემართება. იქ წაბლისფერთმიანი მწველავი ელის, რომელთანაც ჩერდება და წამსვე გრძნობს მოალერსე ხელებს. გარეთ ყინავს და ქალიშვილმა ჯერ ვერ მოასწრო გათოშილი თითების გათბობა, ფურს კი ეს ხელები ეთბილა და დამშვიდდა. იგი პატარა ქალის მორჩილია. მზად არის უკლებლად მისცეს ის, რაც გემრიელმა საკვებმა ჯიქანში ჩაუყენა. ეკრანზე ჩანს საწველი აპარატი, რომელიც პირუტყვს მორგებულად უკეთია. ბოლოს, მეთხუთმეტე ლიტრი რძე მილებით მიდის სარძევე საამქროსაკენ.

ქალიშვილმა ისე ზუსტად ჩაატარა წველა, რომ სადისპეტჩეროდან შენიშვნა არ მიუღია, მხოლოდ პირველი შავთეთრა რომ ზლაზვნით გაისტუმრა, სხვათაშორის გამოელაპარაკნენ: ორმოცდამეათის წველისას მოგაკითხავთო.

კარგიო, — თქვა მან, ჩამოყრილი თმები თავის აქნევით გადაიყარა და ღიმილისას თეთრი კბილები გამოაჩინა.

დღეში ორჯერ, დილა-საღამოს ორმოცდაათი ფურის მოწველა და მოვლა-დასუფთავება ადვილი არ არის. არც ის არის ადვილი, რომ წელიწადში ოთხი ათასზე მეტ ლიტრ რძეს აბარებდე და წლეულს, ყრილობის შესახვედრად ხუთიათასის ჩაბარებაზე ფიქრობდე. ამას ყველა ვერ შეძლებს, ვერც იმას შეძლებს, რომ ყოველ დილას ხუთ საათზე ადგეს, განსაკუთრებით, როცა გვიან წვება ტელევიზიის საინტერესო გადაცემით ლამენატეხი, ან მეგობრების გვიანი სტუმრობის შემდეგ, ან დეტექტივის კითხვით გართული. მას ადრიდანვე შეეპარა ოცნება გამომძიებელი გამხდარიყო და დღესაც ამ ოცნების ამარაა.

როგორია დილის ხუთ საათზე მაღვიძარამ სიზმარი დაგიფრთხოს, ოცნებებისა და ფიქრების თეთრი სურნელით სავსე თბილი ლოგინი დაგატოვებინოს, და თელეთის მთვარიან ღამეში ქარ-ყინვისაგან დევნილმა ჰაერმა სული შეგიკრას? ამას ყველა ვერ გაუძლებს და მითუმეტეს, მაშინ როცა მშობლიური ლენტეხის მთები და გაზაფხულზე ყვავილებით აჭრელებული ორბეთის მაღლობები გელოდება.

დედ-მამა ლენტეხშია, მისი ბავშვობა და სიამე ორბეთის მამაპაპურ სახლში დარჩა, თელეთში კი სიძნელეებია და კაფანდარა ქალიშვილი ამ სიძნელეებს უმკლავდება. იმიტომაც აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, რომ საქმეს შეება და თავს ვერ იშვებს, მოვალეობაში იძირება და ამოსვლას არ ცდილობს.

ეკრანი კვლავ ციმციმებს, მაგრამ ახალარჩეულ დეპუტატს ირა გოგებაშვილს ველარ ვხედავ, მის დიდ ტვირთზე ვფიქრობ, რომელიც ასე მძიმეა და მარტო თვითონ მიაქვს— უდრტვინველად, დაუჩივლებლად და მე მგონი — ხალისით.

ფიქრისგან ახალშობილი ხბოების სილამაზეს გამოვყავარ. ზოგან ორი ტყუპი ერთმანეთს ჩაკვრია და თბებიან. თავს ზემოთ ულტრასხივებიანი ნათურაა დაკიდებული და აჯანმრთელებს, ამაგრებს მათ სუსტ სხეულს. მეურნეობის სელექციონერი ნატა ქემხაძე და ზოოტექნიკოსი რუსუდან მალაღურაძე ახალშობილებს ათვალიერებენ, მოსწონთ მათი გარეგნული იერი, კვების რაციონით ინტერესდებიან, მომვლელს დარიგებას აძლევენ. ქალბატონი ნატა მეურნეობის დაარსების დღიდან აგერ უკვე ოც წელზე მეტია აქ მუშაობს. ეკრანზე კარგად ჩანს მისი შევერცხლილი თმა და ოდნავ მოღლილი თვალები. რუსუდანმა კი შრომის პირველი ნაბიჯები სხვაგან გადადგა და აქ უკვე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



დისპეტჩერ-ოპერატორი ლია ჩაჩანიძე

დარბაისელ, საქმის კარგ მცოდნე სპეციალისტად მოვიდა. მოზრდილთა სახბორეში მას უცებ სახე უნათდება და ტანაყრილ, ახალწვერულვაშა ვაჟს უცინის. ის მისი შვილია, რომელმაც თბილისში სკოლა დაამთავრა და დამოუკიდებელი შრომის გაკვეთილებს მეურნეობაში იღებს.

სადისპეტჩეროდან ზოოტექნიკოსებს კითხვებს აძლევენ და ისინიც უპასუხებენ.

მეურნეობაში ყველა უბანზე მართვის ავტომატიზებული სისტემა მოქმედებს. სამუშაოები მექანიზებულია, მუშახელი კი დამხმარე. ასეა დასუფთავებისას, საკვების დამზადება-ჩამორიგებისას, ფურების წველისას.

ახლა ეკრანზე საკვებგადამამუშავებელი საამქროა. აქ მექანიზაცია აორთქლებს თივას, ურევს მას შაქრის ჭარხლის ბადაგს, კომბინირებულ საკვებს, მერე ორმოციოდე წუთს აყოვნებს, რომ საუზმე უფრო გემრიელი გამოვიდეს და ულუფა „მომხმარებლამდე“ მიაქვს. წყალსაც კი კაცის გაურჯელად იღებენ საჭმლისაგან განებივრებული პირუტყვები — ცხვირპირს ჯამ-ფილას დააჭერენ და სუფთა წყალი გადმოჩქეფს. მწვანე საკვების ნაკლებობას ზამთარში ქლოროფილი ცვლის, რომლის შემცველი სითხეც ბოსლებში ავტომატურად მიედინება.

მეცხოველეობის მეურნეობა ძირითადად მერძეული მიმართულებისაა. მეურნეობისათვის კადრებს მათივე ტექნიკუმი ამზადებს, ისინი მარტო თელეთელებს კი არა, საქართველოს სხვა რაიონებსაც გასწვდება.

საკვების საქმე ზედმიწევნით კარგად აქვთ თელეთის ექსპერიმენტულ მეურნეობა-ტექნიკუმში. შარშან საკვების ჭარბად დამზადებისათვის გარდაბნის რაიონში გარდამავალი წითელი დროშა მათ დაისაკუთრეს. 3 100 ტონა თივა დაამზადეს 1 800 ტონის ნაცვლად. 1 000 ტონა ნამჯა გადაინახეს 600 ტონის ნაცვლად, 9700 ტონა სილოსი მოიმარაგეს 6700 ტონის მაგიერ, სულ ახლახან კი, ორი წლის წინ ზამთრის საკვებს თელეთელები სხვა რაიონებში დაეძებდნენ.

მეურნეობა შარშან პირველად გახდა მომგებიანი. სავალალოდ წინა წლები ზარალით მთავრდებოდა. ამჟამად მდგომარეობა მკვეთრად არის შეცვლილი. იმატა წველადობამ. 2400 ლიტრის ნაცვლად, რაც ადრინდელი შედეგი იყო, წლეულს წველადობის საშუალო მაჩვენებელი 2 800 ლიტრი რძეა. ექსპერიმენტის მიმდევრები, ენერგიული და ინიციატივიანი მწველავები „ოთხიათასიანთა კლუბში“ გაერთიანდნენ. ირა გოგებაშვილი, სემილა რუხაძე, ნინა წიკლაური, თინა ვართანოვა, ელიკო ლილიევი და სხვები ამ კლუბის წევრები არიან და 4 ათას ლიტრზე მეტ რძეს აბარებენ თითოეული ფურიდან წელიწადში. მათ რიგებს ახალი ენთუზიასტები ემატებიან.

სადაც კი ფეხს გადაადგამთ, ყველგან მართვის ავტომატური სისტემა დაგხვდებათ, აი, თუნდაც იმ 2 400 ჰექტარი სახნავის დაწვიმებისას. სამართავი პულტის დარბაზიდან ღილაკზე თითის დაჭერით ნებისმიერი ნაკვეთი სატუმბავი დანადგარებით თელეთში აყვანილი მტკვრის წყლით ირწყვება. მოსავალიც უხვი მოდის ნარწყავ მიწაზე, განვითარებულია მეხილეობა, მებოსტნეობა, მემინდვრეობა, მოჰყავთ საკვები კულტურები.

1870 მსხვილფეხა საქონელს და მათ შორის 835 ფურს, სანაშენე დეკეულებსა და უშობლებს, რომლებიც აქედან შემდეგ საქართველოს სხვა რაიონებში იგზავნება, მოსწონთ თელეთის მიწის ბარაქიანი მოსავლით შემზადებული საკვები. ამას ემატება ბოსლების ჯანსაღი ატმოსფერო, სითბო, სისუფთავე, კარგი სანიტარული პირობები, პირუტყვის დაუბმელი შენახვა, ფერმის წინ მსუბუქად გადახურული სასეირნო მოედნები და ყოველივე ამის შედეგად პროდუქციულობა იზრდება, რძის ხარისხი უმჯობესდება.

აქაური რძე ნორმაზე მეტი ცხიმიანია. ეს ნოყიერი რძე იგზავნება თბილისის ზოგიერთ საბავშვო ბაღსა და საავადმყოფოში. რძისა და ხორცის ჩაბარების გეგმები გადაჭარბებით სრულდება, კლებულობს პროდუქციის თვითღირებულება, 300 მანეთამდე იზრდება მუშის საშუალო თვიური ხელფასი, ამას ემატება პრემია, უმჯობესდება მუშათა სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობები, შენდება საცხოვრებელი ბინები, ახალი საბავშვო ბაგა-ბაღი, მალე გარემონტდება სოფლის კულტურის სახლი, კაპიტალურ მშენებლობას წლეულს 600 ათასი მანეთი მოხმარდება.

მეურნეობას 1983 წლის მიწურულიდან ბიძინა მოისწრაფიშვილი ხელმძღვანელობს. გენერალურ-დირექტორს მხარში უდგას პარტიული კომიტეტი, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივი, ყველა მშრომელი, ადგილობრივი თუ ჩამოსული მუშა-მოსამსახურე, 500-მდე შრომისუნარიანი ადამიანი, ჯანსაღი, შეკრული კოლექტივი. აქედან წასვლა არავის არ სურს, ეს იმიტომაც, რომ მაღალია შრომითი ანაზღაურება. მაგალითად მექანიზატორი სეზონზე თვეში 700 მანეთს იღებს.

წინასაყრილობო განწყობილებაა მეურნეობაში, ცდილობენ წარმატებით დაამთავრონ ხუთწლედის ბოლო წელი. ამისათვის ხელებდაკაპიწებული შრომობენ და იმ სიახლეებს ამკვიდრებენ, რომლებიც საყურადღებო გახდა რესპუბლიკაში.

...მთელ დღეს ციმციმებს აქაური ტელეეკრანი და დღეში რამდენჯერმე აჩვენებს თელეთელი მეურნის აღმა სვლას.

ლია კაკაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მინა ფერადი, ლურჯი...



მარიამ გელაშვილი

სამამულო ომის დღეები იყო. მარიამ გელაშვილი სკოლის წარჩინებით დამთავრებისთანავე ძირულის ცეცხლგამძლე აგურის ქარხანაში მივიდა და ქიმიურ ლაბორატორიაში ლაბორანტად დაიწყო მუშაობა. იმ დროს ქარხანაში ევაკუაციით ჩამოსული საუკეთესო სპეციალისტები მუშაობდნენ. რა თქმა უნდა, ახალგაზრდა მარიამმა აქ კარგი სკოლა გაიარა. მან ლაბორატორიის გამგე უზადო სპეციალისტი ქეთევან გველესიანი გაიხადა მისაბაძ მაგალითად. მაგრამ მაინც ექიმობაზე ოცნებობდა. ქარხნის დირექტორმა ილია ინგოროყვამ ახალგაზრდა, ნიჭიერი ქალი მედიცინისათვის ვერ „გაიმეტა“ და იმდენი უქადაგა, სანამ მარიამი ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტზე არ შევიდა. მინის განხრით.

— რატომ მინისა და არა კერამიკის განხრით?

— „არა, აქ უფრო მეტი სიძნელეები იყო, მე კი მათი დაძლევა მიყვარს — ამბობს მარიამი.

შემდეგ სტუდენტობა, ცოდნის დაუნჯების წლები, ჩინებული პედაგოგები. მინის ტექნოლოგიას პროფესორი კალე ქუთათელაძე უკითხავდა, კოლოიდურ ქიმიას — პროფესორი ბიძინა კანდელაკი, ხოლო ხაზვა პროფესორმა მარიამ ლაფერაშვილმა შეაყვარა. ეს სიყვარული ქიმიკოს ქალს დღესაც არ განელებია, ამბობს, ხაზვა საინჟინრო ენააო.

1948 წელს მარიამ გელაშვილი ბორჯომის შუშის ქარხანაში გაამწესეს. ქარხანას დიდი ტრადიციები და საინტერესო წარსული აქვს: ჯერ კიდევ 1830 წელს აუგიათ ღვინის ჭურჭლის დასამზადებლად, შემდეგ კი დაუხურავთ. ახალი ქარხნის მშენებლობა 1895 წელს დასრულებულა, ხოლო 1896 წლიდან პროდუქცია გამოუშვია.

რევოლუციის გარიჟრაჟზე „წითელი არმიის მოახლოებით აღფრთოვანებულმა ბორჯომის რევოლუციურმა პროლეტარიატმა, — სამხერხაოს, მინისა და საგზაო სახელოსნოების მუშებმა, — რევოლუციური კომიტეტი შეადგინეს და სადგურ სუმბათოვოში (ახალდაბა) წითელი არმიის შესახვედრად დელეგაცია გაგზავნეს.“

დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ქარხანა კიდევ უფრო გაფართოვდა, მექანიზაცია და ავტომატიზაცია დაინერგა, საწარმოო სიმძლავრე გაიზარდა. დღეს ქარხანა სოციალისტურ შეჯიბრებაში ყოველთვის გამარჯვებული გამოდის და მისი პროდუქცია ყოველთვის ხარისხოვანია.

ქარხნის წარმატებებში მის ცენტრალურ ლაბორატორიას დიდი წვლილი მიუძღვის. ლაბორატორიას აგერ უკვე ოცდაათი წელიწადია მარიამ გელაშვილი ხელმძღვანელობს. ლაბორატორია უშუალოდ მონაწილეობს წარმოების პროცესში, ტექნოლოგიურ კონტროლის მთელ ხაზზე — დასაწყისიდან მზა პროდუქციამდე წარმატებით ახორციელებს: ქარხანაში შემოსული მინის მასისათვის საჭირო ნედლეულის, ქიმიური ანალიზი იქნება თუ მინის მასის შემადგენლობის რეცეპტურის შედგენა, რომლის მიხედვითაც რამდენიმე სხვადასხვა ნედლეულის ნაზავი ანუ კაზმი მზადდება.

ვუყურებთ კონტეინერებში მოთავსებულ საოცარი ფერის კაზმს და ვფიქრობთ, ხალხთა მეგობრობის რომელ მერიდიანებს არ მოუყრია აქ თავი: კალციუმის სოდას და ქვანახშირს (დონბასიდან), ტექნიკურ სულფატს (მოსკოვის ოლქიდან,) ქრომის წიდას (კუიბიშევიდან), მარმარილოს ფხვნილს (სოხუმიდან).

საერთოდ, მინა ძალიან რთული, ჭირვეული და ფაქიზი სილიკატია და დიდ გულისყურს მოითხოვს. ბოთლის ხარისხი ნედლეულისა და სათადარიგო ნაწილების ხარისხზე, სათბობზე და სხვა პირობებზეა დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, ქარხნის დამხმარე და ძირითადი საამქროები ერთ მთლიან ჯაჭვს ჰქმნის. სამანქანო-სალუმელე საამქროს სამ დიდ ღუმელში იხარშება კაზმი, რომელიც შემდეგ მინის ამორფულ მასად იქცევა. კაზმი გრძელ გზას გაივლის, სანამ ბოთლად იქცევა, ბოთლად ქცეული კი — მრავალ გამოცდას უძლებს, რათა ხარისხიანი ჩაბარდეს მომხმარებელს — ბორჯომის წყლის ჩამომსხმელ ქარხანას. ყველგან, მთელ გრძელ გზაზე, ლაბორატორიის და მისი გამგის მახვილი თვალია საჭირო: დაწყებული მინის სინჯების შემოწმებით, რომლებიც სამ წყებად ჩაუმწკრივებიათ თაროებზე სამივე ღუმელთან, და, დამთავრებული ბოთლის გამძლეობის გასინჯვით. ქარხნის ხარისხის მართვის სტენდზე თითოეული მუშაკის შრომის ხარისხია ასახული. ქალბატონი მარიამი, როგორც ქარხნის მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირის თავმჯდომარე, უშუალოდ არის დაკავშირებული წარმოებასთან, მუშებთან. ამ თათბირის შედეგებს ის დირექციას მოახსენებს ხოლმე. მარიამი გულისტკივილით აღნიშნავს სილიკატურ ფაკულტეტს ვაჟები არ ეტანებიან, ხოლო მინის წარმოება კი ვაჟკაცურ ამტანიანობას მოითხოვსო. ქარხანაში ჩამოსულ „პრაქტიკანტებს“ საწარმოში დარჩენას ურჩევს. რჩევამ გასჭრა და ზაზა კახნიაშვილი ბორჯომის შუშის ქარხანაში სამუშაოდ ჩამოვიდა. ზაზა სიძნელეებს არ შეუშინდა, ის ხშირად ღამის ცვლაშია, მშობლიური კერა და კომფორტი ადვილად დათმო და ქარხნის საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს. მის გვერდით საუკეთესო სპეციალისტები და მზრუნველი ადამიანები არიან. ისინი

და ქალბატონი მარიამი ახალ მოსულ სპეცია-ლისტს კარგ პირობებს უქმნიან, წარმოებით აინტერესებენ, პირველ ნაბიჯებს უფასებენ. მარიამმა ბევრ თავის ნამოწაფარს გაუკვლია გზა.

ქარხნის დირექტორი თეიმურაზ მაისურაძე ამბობს — ქალბატონი მარიამი ყველასათვის მისაბაძი მაგალითიაო. ეს მისაბაძი ადამიანი დაუცხრომელი ენერგიით არის ჩაბმული ქარხნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში: როგორც პარტბიუროს წევრი, ახალგაზრდებთან იდეოლოგიურ-აღმზრდელობით მუშაობას ეწევა, არის ბორჯომის რაიონის ქალთა კომიტეტის წევრი, მიღებულ აქვს ჯილდოები, მედლები და სიგელები.

მარიამს სხვისი წარმატება უფრო ახარებს, ვიდრე საკუთარი. სამანქანო-სალუმელე საამქროში სიამაყით ჩაივლის ხოლმე ბოთლების ჩასაწყობ აგრეგატთან, რომელიც მექანიკოსმა ვაჟა კურტანიძემ გააუმჯობესა. (ვაჟა ამჟამად წარმოებაში დანერგილი მრავალი რაციონალიზატორული წინადადების ავტორია.) დიდ სიხარულს ანიჭებს მარიამს ქარხნის ახალი სპორტული დარბაზი და მარჯვენას უქებს ქარხნის ამაგდარ ხელოსანს ვახტანგ ლევაშვილს, რომელიც დარბაზს აპირკეთებს.

დაბოლოს, ქალბატონი მარიამის პორტრეტი სრული არ იქნება, თუ არ დავძენთ, რომ მისი პირდაპირობა, პრინციპულობა, ალალმართლობა სწორედ ის „კაზმია" (ვხმარობთ მის სანიადაგო სიტყვას), რომელიც ყოველდღიურობასა თუ საწარმოო ურთიერთობაში ჭეშმარიტ მოქალაქეს წარმოაჩენს.

კიდევ ერთი შტრიხი — ქარხნის ლაბორატორიაში შესულს პირველად შოთა რუსთაველის პორტრეტი შემოგანათებთ. მარიამის გულში „ქიმიკოსმა" ვერ დათრგუნა „ლირიკოსი". მასპინძელი თვალცრემლიანი ამბობს, „ჩემი იდეალი რუსთაველის ამაღლებული სიყვარულიაო", მან ჰპოვა ეს სიყვარული აწ გარდაცვლილი მეუღლის სერგო სამხარაძის სახით, რომელიც ბორჯომის მუშათა უბნის მთავარი ექიმი იყო, — კაცი პატიოსანი და ზნესრული.

დიახ, ქალბატონო მარიამ, დიდი რუსთაველი ბრძანებს „მზე უშენოდ ვერ იქნების, რადგან შენ ხარ მისი წილიო". მაგრამ ის „მზეები" ხომ კვლავ ამობრწყინდებიან თქვენი ზურაბის შვილების, მისი შვილთაშვილების სახით, ამობრწყინდებიან და გაგინათებენ პაპის თვალებით, ან მისი ღიმილის ათინათით, მისი სათნოებით... სწორედ ეს არის ადამიანის მზეგრძელობა, მისი უკვდავება. ჩვენ კი მათ ვუსურვებდით სათნოებათა მაღალ კიბეზე თქვენებურ მუხლჩაუხრელ და წაუბორძიკებელ ზესვლას!

ჩვენი დიდი წინაპრის საბას სიტყვით, „მინა ჭიქა არს ფერადი, ელვარედ შემზადებული..." და, რადგანაც ეს ასეა, ელვარება და ფერთა ფერობა ნუ მოგკლებოდეთ თქვენ და თქვენს ოჯახს!

გისურვებთ დღეგრძელობას და გილოცავთ აპრილის ერთ უმშვენიერეს დღეს — თქვენს დაბადების დღეს!

**მარინე სადგერელი**



ძვირფასო ანა

ახლა ჟურნალ „საქართველოს ქალის" ფურცლებიდან მინდა ერთხელ კიდევ მოგილოცოთ რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდო, ჩვენი დიდი წინაპრის შოთა რუსთაველის სახელობის პრემია. ამ ჟურნალის ფურცლებიდან, რომელიც ყოველთვის დიდ სიყვარულს ამჟღავნებდა და ამჟღავნებს საერთოდ პოეზიისადმი, ყველა ჩვენგანისადმი, ვინც ქართულ პოეტურ სიტყვას ვემსახურებით და მით უფრო შენდამი, შენი შემოქმედებისადმი, ჩემო ანა.

ამ ჟურნალის, „საქართველოს ქალის" ფურცლებიდან, ანა მგონია, ჩემი შენდამი მოკრძალება და სიყვარულიც კიდევ უფრო თბილი, კიდევ უფრო წრფელი იქნება.

გილოცავ და გისურვებ ჩემო ძვირფასო ანა დიდ, დიდ ბედნიერებას, მთავარ პოეტურ სიხარულს.

ირაკლი აბაშიძე

1985.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია ტატიშვილი

# ტანკისტი რაია

მხატვარი კარლო ფაჩულია

დოკუმენტური მოთხრობა

ომის უკანასკნელი წელი იდგა. 13 იანვარს, თბილისში ჩემს დას ნინოს ფრონტული სამკუთხა ბარათით ახალი 1945 წლის დადგომა და ნინოობა მივულოცე. ვიცოდი, რომ მეორე დღეს, 14 იანვარს, დილის 7 საათზე ჩვენი გვარდიული გამრღვევი სატანკო ბრიგადა სხვა შემტევ ნაწილებთან ერთად შეტევაზე უნდა გადასულიყო. ცხადია, წერილის დაწერის დრო აღარ მრჩებოდა. მანამ ბარათს დავკეცავდი, ოთახში ჩვენი ბრიგადის შტაბის რადისტი, ახალგაზრდა გოგონა რაია რაევსკაია შემოვიდა. მას ყველა პატივს სცემდა, როგორც კარგ სპეციალისტს, კარგად აღზრდილს და ყურადღებიან, მშვენიერ ქალიშვილს. მის დიდრონ შავ თვალებში ყოველთვის სითბო და ალერსი გამოსჭვიოდა.



— ნება მომეცით მოგმართოთ, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, — რაიამ ხელი ბერეტთან მიიტანა და გასწორდა.

— რას გვიბრძანებთ ფროილენ რაევსკაია, — გავუღიმე ქალიშვილს.

— უფროსი სერჟანტი რაევსკაია გამოვცხადდი ბრიგადის მეთაურის — გვარდიის პოლკოვნიკ ხოპკოს განკარგულებით, თქვენს სატანკო ეკიპაჟში დაჭრილი რადისტის სოლოვიოვის შემცვლელად.

— გეყოფათ ხუმრობა, დაბრძანდით და მშვიდად მომიყევით, რა ამბავია.

— გეფიცებით, მართლა პოლკოვნიკმა გამომგზავნა, ასე მითხრა, თუ არ დაიჯერა, რადიოთი დამიკავშირდესო. მე მას ვთხოვე მებრძოლი ეკიპაჟის წევრობა, და თანაც თქვენთან. თქვენ ხომ მართლაც გაკლიათ რადისტი.

— კი, მაგრამ, ხვალიდან ჩვენ დიდი ბრძოლები გვეწყება, ტანკში ძნელია ქალიშვილისთვის ბრძოლა. ზოგჯერ მთელი კვირა ვერ გამოვდივართ ბრძოლებიდან, ხმაური, გრუხუნი, რყევა, უძილობა, დიდი ფიზიკური დატვირთვა. ვაჟკაცებსაც კი უჭირთ ყოველივე ამის დაძლევა. თქვენ, კი, ყოველგვარ შეუჩვეველსა და გამოუწრთობს პირდაპირ შეტევაზე გინდათ გადასვლა?

— არაფერია, შევეჩვევი. ხომ არსებობს ერთი სატანკო ეკიპაჟი ვალენტინა რუდნევას მეთაურობით, სადაც მარტო ქალები არიან?

— კი, მაგრამ, იქ ყველანი ქალები არიან და, მათ თვალისჩინივით უფრთხილდებიან.

ამ დროს ტანკის მექანიკოსი საშა კარასიოვი შემოვიდა და მომახსენა: რადიო კვანძზე ბრიგადის მეთაური გთხოვთო. სასწრაფოდ დავტოვე ოთახი და შლემაფონი მოვირგე. — როგორ მიდის მზადების საქმე, ხომ ყველაფერი რიგზეა? — შემეკითხა პოლკოვნიკი და განაგრძო, — რაია მე გამოგიგზავნე, აღარ მომეშვა და ისევ შენთან ვამჯობინე, შენ ხომ ბედნიერ ვარსკვლავზე ხარ დაბადებული. მჯერა, რომ ყველაფერი იღბლიანად დამთავრდება.

— მე რა ვარ, ეგ ღმერთმა იცოდეს, მაგრამ თვითონ? არ გაუძნელდება? რაიმე რომ დაემართოს, ხომ სულ სანანებლად უნდა გვქონდეს? თუ ნებას დამრთავთ, სულაც არ მოვითხოვ რადისტ მეტყვიამფრქვეველს. ურადისტობას უფრო შევეღლევი, ვიდრე რაიას ყოფნა-არ ყოფნის სასწორზე დადებას.

— რაღა ახლა მოხდება გაუთვალისწინებელი, თქვენ ოთხი წელია ფრონტზე იმყოფებით, მაგრამ არაფერი მომხდარა. ეგეც არ იყოს, შტაბში რა, არ იღუპებიან? კარგად

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყავით, ჩემთვის ყველა მებრძოლი ერთნაირად დასანანია.

დილის 6 საათსა და 40 წუთზე ჩვენმა არტილერიამ მოწინაალმდეგის წინა ხაზი „დაამუშავა". 20 წუთის შემდეგ ცეცხლი მტრის ზურგში გადაიტანა და, ჩვენი გვარდიული ცეცხლმფრქვეველი სატანკო ბრიგადა შეტევაზე გადავიდა. გავარღვიეთ მტრის მოწინავე ხაზი და პოლონეთის ქალაქ ბოხნიამდე აღარსად აღარ შევჩერებულვართ. ოთხი დღე-ღამის ბრძოლების შედეგად, 140 კილომეტრზე მეტი ტერიტორია გავათავისუფლეთ. იმ ოთხი დღე-ღამის განმავლობაში რაიას ვაჟკაცურად ეჭირა თავი, ერთხელაც არ შეგვიმჩნევია შიში ან დაბნეულობა. თავისი დიობეტრიანი ტყვიამფრქვევით მრავალ ფაშისტს მოუსპო სიცოცხლე. ბრძოლის დროს მე მის სახეს ვერ ვხედავდი, რადისტი მეტყვიამფრქვევე ხომ ტანკის წინა ნაწილში ზის, მექანიკოსის გვერდით. მაინტერესებდა კი შემეხედა, როგორ ეჭირა თავი, მაგრამ შიდა სალაპარაკო მოწყობილობით ხანდახან ჩავძახებდი ხოლმე: „სერჟანტო რაევსკაია, როგორ მიდის საქმე, მოგწონს ტანკით ბრძოლა?" — „დიდებულია, ამხანაგო მეთაურო, დიდებული, მე მამაჩემის დაღუპვისათვის შურისძიება უკვე მოვასწარი და ეხლა აღარაფრისა მეშინია. — მის წკრიალა ხმაში სიმშვიდე და იმედი იგრძნობოდა.

სანამ ქალაქ ბოხნიას ვიგდებდით ხელთ, ნაბრძანები გვქონდა ღამე ტყეში გავჩერებულიყავით და, სურსათისა და საბრძოლო მასალების შესავსებად, ზურგის ნაწილების წინ წამოწევას დაველოდებოდით. რაიამ ვაჟკაცურად გადაიტანა ოთხი დღე-ღამის განუწყვეტელი მძიმე შეტევითი ბრძოლები. ბრიგადის მეთაური რამდენჯერმე დაინტერესდა და რადიოში ჩამძახა:

„41" — როგორ გრძნობს თავს ჩვენი ფერია?

— ვაჟკაცურად და ყოჩაღად იბრძვის. გამბედაობაში არავის ჩამოუვარდება. ასეთები კიდევ რომ გვყავდეს, ჩვენთანაც შეიქმნებოდა ქალთა სატანკო ეკიპაჟი — ვუპასუხე ბრიგადის მეთაურს.

— აბა, თქვენ იცით, კიდევ ცოტაც და უკანვე დავაბრუნებ თავის ძველ ადგილზე. მე მაგას მხოლოდ ერთ შეტევას დავპირდი.

რაიას ტანკში ყოფნამ თითქოს ჩვენც შეგვიმსუბუქა ფიზიკურ და მორალურ სიძნელეთა დაძლევა. მან თავისებური სითბო და ხალისი შემოიტანა ჩვენს ფრონტულ ცხოვრებაში, ცოტა გულიც კი გვწყდებოდა, რომ მალე ჩვენგან უკანვე წაიყვანდნენ.

— ამხანაგო მეთაურო, არ შეიძლება რეკომენდაცია გამიწიოთ, რომ კვლავ თქვენთან დამტოვონ? ხომ კარგად ჩავაბარეთ საბრძოლო გამოცდა.

— არა, რაია, დაგტოვონ კი არა, რომ შემეძლოს, ეხლავე გაგისტუმრებდი შტაბში. შენ წარმოდგენაც კი არა გაქვს, ხვალ რა დიდი ბრძოლები გველოდება. ხვალ ქალაქს უნდა შევუტიოთ. ფრონტის სარდლობა დიდ იმედებს ამყარებს ჩვენს გვარდიულ ცეცხლმფრქვეველ სატანკო ბრიგადაზე.* გერმანელთა დაცვის პირველმა დარტყმამ ხომ ჩვენი ბრიგადის კისერზე უნდა გადაიაროს. ჩვენი ბატალიონი კი მოწინავეა.

გერმანელები, ალბათ მიხვდნენ, რომ ჩვენი ტანკები ტყეში განლაგდა. მათ არტილერია მოწინავე ხაზთან ახლოს გადმოისროლეს. საღამომდე ხელი არ გამოუღიათ, ალბათ ჩვენს აქტიური მოქმედების დაწყებას ელოდნენ, მაგრამ ამაოდ.

ღამით ფაშისტთა არტილერიამ ტაქტიკური ცეცხლი გაგვიხსნა, ანუ როგორც ჩვენ ვეძახდით, „ბრმა სროლა" დაგვიწყო. მართალია, ჭურვები აქა-იქ ეცემოდა, მაგრამ, ზოგჯერ ეს ბრმად ნასროლი ჭურვები მიზანს აღწევდა. ეს კი მართლაც იღბალზე იყო დამოკიდებული. ერთ-ერთი ასეთი ჭურვი ჩვენგან მარჯვნივ, ოციოდე მეტრით მდგარ ბოლოტოვის ტანკს დაეცა. მთვარიანი ღამე იყო და კარგად დავინახეთ, თუ როგორ მოგლიჯა კოშკის მარჯვენა სარქველი. ეკიპაჟის წევრებს ტანკიდან გასვლა ავუკრძალე. „ვაიმე, ძმაო!" დაიყვირა ჩვენი ქვემეხის გამტენმა სერგეი ბოგდანოვმა. ტანკიდან ამოხტა და თავისი ძმობილის სერგეი ბონდარენკოს სანახავად გაქანდა. როდესაც იქიდან დაბრუნდა, საყვედურის თქმა დავაპირე, მაგრამ თვალები ნამტირალევი ჰქონდა და აღარაფერი ვუთხარი, მან კი შემომჩივლა. აღარ არის ჩემი ძმობილი სერგეი, ყუმბარის ნამსხვრევმა მოკლაო. — „დამშვიდდი სერგეი, — ვუთხარი, — რას იზამ, ომია ძმობილო, ომი. არავინ ვიცით ხვალ ვის რა მოგველის". რაიამ, ყველაზე მეტად თანაუგრძნო, ხელი მოჰხვია, მოეფერა და აკოცა. გერმანელთა არტილერია ახლა სხვა კვადრატებს ბომბავდა. ჩვენთან ისევ სიმშვიდემ დაისადგურა. რაიას ჩემი ქურქი გადავაწოდე და ვუთხარი: დაწექი, დაიძინე, ხვალ კვლავ შეტევაზე უნდა გადავიდეთმეთქი. მან კი ტანკიდან ამოსვლა მთხოვა, ცოტას გავიშლები, ნახეთ რა მშვენიერი მთვარიანი ღამეაო. ასე მგონია, ომი დამთავრდა და ჩემს მოსკოვში, სერებრიანი ბორის ჭალაში ვიმყოფებიო. ერთი ხანობა შევყოყმანდი, არ მინდოდა გარეთ გამეშვა, ხომ შეიძლება ცეცხლი კვლავ ჩვენსკენ გაეხსნათ; მაგრამ უარმა აღარ გაჭრა, თოვლზე დარბოდა და პატარა გოგონასავით თავდაყირა კოტრიალობდა, მერე თოვლის გუნდა გააკეთა, ხელი მაღლა შემართა სასროლად და... ჩვენ ნათლად მოგვესმა ჭურვის ავადმომასწავებელი შრიალი, რომელიც ჩვენს კვადრატში აფეთქდა...

მას შემდეგ, ზუსტად 40 წელი გავიდა, ჩემი მეხსიერებიდან არ ჰქრება იმ საბედისწერო იანვრის მთვარიანი ღამე.

---

* ცეცხლმფრქვეველი სატანკო ბრიგადა მთელ მეოთხე უკრაინის ფრონტზე ერთადერთი იყო, რომელსაც ზარბაზნისა და ტყვიამფრქვევის გარდა, დაყენებული ჰქონდა ცეცხლმფრქვეველი მოწყობილობა. იგი მთავარსარდლის განკარგულებაში შედიოდა.



# სახელი უკვდავებისა

სადოქტორო დისერტაცია მის სამუშაო მაგიდაზე დარჩა. დღენიადაგ ილვწოდა, ფიქრობდა — სკოლა იყო მისი იდეალი.

მარიამ ბურჭულაძის გარდაცვალება მძიმე დანაკლისია სახალხო განათლებისა და პედაგოგიური მეცნიერებისათვის. ჭეშმარიტად სახალხო მასწავლებელმა, საბჭოთა სკოლის ღირსეულმა მშენებელმა და საზოგადო მოღვაწემ, ახალგაზრდა თაობათა დიდებულმა ქომაგმა და სულიერმა აღმზრდელმა ღრმა კვალი გაავლო ჩვენი სახალხო განათლების ისტორიაში.

მარიამ ბურჭულაძე წლების მანძილზე იყო რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარი, შემდეგ კი — 23 წლიწადს — განათლების მინისტრის პირველი მოადგილე. 1961 წლიდან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში სექტორის ხელმძღვანელია. მან 65 წელი იმოღვაწა.

ქალბატონი მარიამი, — რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, ლენინის, შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის" ორდენოსანი, საქართველოს პედაგოგიური საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, 40-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორი, — დიდი ინტერესით მუშაობდა პედაგოგიკის პრობლემებზე, სწავლების მეთოდებზე.

პარტიისა და შრომის ვეტერანი ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. სხვადასხვა დროს გახლდათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ სამი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

მისი ბედნიერება სხვისი ბედნიერებისათვის ზრუნვით განისაზღვრებოდა, ამიტომ გულწრფელად უყვარდა ყველას. ჩვენს საზოგადოებას მარიამ ბურჭულაძე გამორჩეული სიდარბაისლით ამშვენებდა.

ჭეშმარიტმა პედაგოგმა სასკოლო პრობლემების გადაწყვეტის საკითხებზე ფიქრსა და რუდუნებაში გატეხილი ღამეებით გალია წუთისოფელი...

ჩაქრა ნათელი სიცოცხლე. წავიდა ვალმოხდილი ქალი. დარჩა ჩვენი ახალგაზრდობის გონებრივი და სულიერი აღზრდის დიდი ქომაგის — მარიამ ბურჭულაძის უკვდავი სახელი.

# ნაზი თარგამაძე

## დიამც, ვაჟობებ...

რაც დედა გავხდი,
    უფრო მეტად ვიგონებ დედას,
არც ახალბედა,
    მე დიდი ხნის დედა ვარ უკვე,
ჩემს დედობაში ჩემი დედის დედობას ვხედავ
და ფიქრით მუდამ
    უცხო სანთელ-საკმეველს ვუკმევ.
როგორ მაკლია, როგორ ვნატრობ,
    და როგორ მიკვირს,
შვილთა ძახილში სულდალეულ
    ჩემი დედიდან,
როგორ დაგვტოვა,
ვაი, როგორ დანებდა სიკვდილს,
    რად არ გამეხდა,
სიკვდილს როგორ ვერ შეეჭიდა.
შვილს, ჩემს სიხარულს,
    ჩემს სატკივარს,
სისხლს და ხორცს ჩემსას,
ვიდრე ვუნდივარ,
და ვიდრემდე, ვიცი, ვჭირდები,
დიამც, ვაჟობებ სიკვდილს, მაგრამ
    შვილს თუ მოვეზზრდი,
ფარ-ხმალს დაევური და
სიკვდილს აღარ შევეჭიდები!

## თავნება თვალები...

დარდებმა დაიწყეს დავლური,
დარდი ვის გავუყო...
შევხედავ, სახეს მწვავს ალმური,
    რა ვუყო!..
დიდდება ფიქრების ფერდობი...
ო, კარგო ისეთო,
ვისთან ვთქვა, თავსაც ვერ ვენდობი,
    ვის ვენდო!
ვაი, თუ მამხილეს თვალებმა,
    რაც გულში გავფლე,
დამეჯსოს თვალები თავნება,
    ვაი მე!
გულს უნდა ფარულად, ფაქიზად
გატაროს თავისთვის,
    თავნება თვალები
    თავისას არ იშლის.

* * *

თვალი მოვათვინიერე
ჯიუტი და თავნება.
არ გეძებონ, როგორც იქნა
დამიჯერეს თვალებმა.

მაგიერად გული მერჩის,
ჩვილი, თანაც გულდიდა,
ლამის არის შენ ძახილში
ამოვარდეს ბუდიდან.

ვიცი, კიდეც მიატოვებს
თავის ბინას — საგულეს,
რომ ინებო, დამტოვებს და
შენთან დაისადგურებს.

## გნატრობ? — არა!

გული გულობს,
თვალი მიჭრის,
აზრი მაქვს და ძალა.
რას მკითხულობ:
ფიქრობ, მიჭირს?
    არა!
ქარმა? კლდე ვარ,
თოვლმა? მთა ვარ,
ვერ გამტეხა მხნედ ვარ.
ქალი მე ვარ,
ვდგავარ, დავალ,
    მხედავ?
თოვლმა? — მთა ვარ!
ქარმა? — არა!
განა ლერწამი ვარ...
ნუ მკითხულობ წარამარა,
    მიშვალ!..
გნატრობ? არა,
უკან? — ბნელა,
წინ უფრო მეტს ვხედავ.
მარტო არ ვარ,
ჩემთან? — ყველა,
მხნედ ვარ!

* * *

როცა მწამებენ ცილს და
სულში ძალიან წვიმს,
უმადურობას ვიმკი
როცა სიკეთის წილ,

როცა უზომოდ მწყინს და
ნათელს ვერ ვხედავ წინ,
რწმენა მიქრება ყოვლის
და ვემსგავსები მწირს.

როცა მწამებენ ცილს და
სიმწრით ვეცემი ძირს,
ვნატრობ იმ ქვეყნის ძილს და
ღმერთს აღარ ვუნთებ ცვილს.

* * *

წახველ და ხედ გადამაქციე,
სახეც არ შემომრჩა ქალისა,
მას შემდეგ ვერა და ვერავინ,
ვერ გამახალისა.

მე ისე მოვკვდები როგორც ხე,
შენსკენ გამოწვდილი ხელებით.
მგონია კვლავ მოხვალ, ხელს მომხვევ
და მომეფერები.

მგონია, და სურვილს მოსვლისას
ამაოდ გულში ნუ გაიხლებ,
რა გამოაცოცხლებს, გაშლის,
იმ დამზრალ ყვავილებს.

ო, ვწუხვარ, ასე რად გავხევდი,
შენსკენ გამოწვდილი ხელებით,
ან ისე რად ვკვდები, როგორაც
კვდებიან ხეები.

## მე ჩუმად ვიწვი

განა წკნელი ვარ, უცებ ავენთო და
                    დავიფერფლო,
რადგან ფიცხი ვარ,
განა ფიჩხი ვარ, — ნაძვის და ფიჭვის,
    მე ჩუმად ვიწვი,
გალვივებული მუხის გული ვარ,
მერე ნაცარში გახვეული და
    დამარხული ვარ.
მე ჩუმად ვიწვი,
რადგან მუხის დიდი კუნძი ვარ,
და ის მიპოვნის
ვინც დამმარხა,
თუ კი ვუნდივარ.

* * *

დედამ გამაჩინა, განა ღმერთმა,
და მქმნა სრულყოფილი მიწიერი,
მერე შენ, მერე შენ გამაღმერთე,
და მერე... ულმერთოდ იცბიერე.

ფრთები შემასხი და მეცხრე ცაზე
ლაღად, ფრენა-ფრენით ამიტაცე,
თუ კი თამაშობდი, ნეტავ რაზე,
ჩემთვის ვყოფილიყავ ამ მიწაზე.

ჩემი კერპი იყავ სათაყვანო,
მე — შენზე მლოცველი და წარმართი.
ფრთები შელეწილი სად მიყარე,
ფრთები რომ შემასხი, რად წამართვი.

ფრთამოტეხილი რომ მიმატოვე,
ნუთუ წამით მაინც არ ინანე,
მე რომ ასე მთანგავს სიმარტოვე,
ცოდვით შენ როგორღა დაივანე.

დედამ გამაჩინა განა ღმერთმა,
და მქმნა სრულყოფილი მიწიერი,
შენ განა ამაოდ გამაღმერთე? —
არასდროს ვიქნები ბიწიერი.

* * *

ტაძარი როგორც იავარქმნილი,
ვარ ჩემთვის მარტო, ქვეყნის საჩინოდ,
და რადგან ყოფნას მავალებს შვილი
ღმერთსა ვთხოვ სიკვდილს გადამარჩინოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# თინათინ ქიქოძე

არიან ადამიანები, რომელთა გამო რისამე თქმა წინასწარ გახარებთ. ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის თინათინ ქიქოძე, ქართული მწერლობისა და საერთოდ, ჩვენი ინტელიგენციის ღირსეული წევრი, რომლის საამაყო მშობლების ერთგულ მეგობარს ამჟამად სასიამოვნო შემთხვევა მომეცა ორიოდე სიტყვა ვთქვა მის ლიტერატურულ ღვაწლზე.

თინათინ ქიქოძეს თითქოს მემკვიდრეობით გადმოეცა ნიჭი და გემოვნება მსოფლიო ლიტერატურის მნიშვნელოვან ძეგლთა ქართულ ენაზე შესაფერი გახმიანებისათვის. ის უმთავრესად XIX და XX საუკუნეების ფრანგი მწერლების თხზულებათა ზედმიწევნით მცოდნე და მთარგმნელია. თინათინ ქიქოძეს ეკუთვნის მადლობა იმის გამო, რომ მკითხველთა ფართო წრე ქართულად გაეცნო ფრანგული პროზის მრავალ შედევრს. მან თარგმნა სტენდალის „პარმის სავანე“ და „იტალიური ქრონიკები“, ბალზაკის „ეჟენი გრანდე“, „ოცდაათი წლის ქალი“, „ვენდეტა“ და „ცეზარ ბიროტო“, ა. დოდეს „კაცუნა“, ვ. ჰიუგოს „კლოდ გე“, ტეოფილ გოტიეს — „ოქროს ვერძი“, თანამედროვე ფრანგი ბელეტრისტის მორის დრიუონის ორი რომანი „ძლიერნი ამა სოფლისანი“ და „კერპთა დამხობა“, ანდრე მორუას მოთხრობები და სერია მისივე კრიტიკული ეტიუდებისა და ესეებისა.

ჩვენი სია სრული არ არის.

თინათინ ქიქოძის თარგმანების მაღალი პროფესიული დონე საყოველთაოდ ცნობილია. ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ მხოლოდ ერთი არსებითი ღირსება ამ თარგმანებისა. თვითეულ მათგანში შენარჩუნებულია ავტორის სტილური ხელრთვის თავისებურებები, მჭიდროდ დაკავშირებული შემოქმედის მხატვრული მეთოდისა და მსოფლმხედველობის ზოგად ხასიათთან. ასე, მაგალითად, ბალზაკის „ცეზარ ბიროტოს“ კითხვისას თვალში საცემია უმთავრესად დიდი ფრანგი რეალისტისათვის დამახასიათებელი ბრწყინვალება თხრობისა, ძალზე საგრძნობ სიტყვიერ მხატვრობასთან ერთად: სტენდალის „პარმის სავანის“ კითხვისას მეტწილად ყურადღებას იპყრობს ავტორის აზროვნებისა და მოქმედი პირების დახასიათების სიღრმე, ორნამენტაციას მოკლებული მსჯელობის ფონზე; ა. კამიუს „ოთხი ალჟირული ესე“ გაცნობთ უნიჭიერესი ეგზისტენციალისტი - ბელეტრისტის აფორისტულ სტილს.

თინათინ ქიქოძე არ ცდილობს კარგი მოქართულის სახელის მოხვეჭის მიზნით თავისი თარგმანების შეუფერებელი იდიომებით დატვირთვას. თარგმნის ამგვარი მეთოდი ყალბ შთაბეჭდილებას შეუქმნიდა მკითხველს რომელიმე უცხო ავტორის მხატვრული აზროვნებისა და თხრობის მანერაზე. საკუთრივ ფრანგი ავტორები უმთავრესად გამოთქმის ეფექტურობით, რაფინირებული და დახვეწილი სტილით იქცევენ ყურადღებას. თ. ქიქოძე ითვალისწინებს ავტორისა და მისი გმირების პროფესიულ თუ ინტელექტუალურ დონეს, მათი საუბრისა და ინტონაციის ინდივიდუალურ ნიშნებს, ძალდაუტანებლად და ბუნებრივად გადასცემს მათ ჩვენს მკითხველს. ყოველივე ეს შედეგია იმ ენობრივი კულტურისა, რომელიც ჩვენს მწერალ ქალს არასოდეს ღალატობს. თ. ქიქოძემ გამოაქვეყნა ქართულად ა. მორუას ზოგიერთი სტატია, წიგნიდან — „ლიტერატურული ეტიუდები“ და ცხადყო ქართული ენის ინტიმური ცოდნა და უტყუარი გემოვნება.

* * *

დიდი სიამოვნებით ვიგონებ თ. ქიქოძესთან ერთად მუშაობას ა. დიუმას შესანიშნავი „კავკასიის“ ქართულად გამოცემის პერიოდში. ამ იშვიათი ლიტერატურული ძეგლის ტექსტი მან უნაკლოდ თარგმნა და ისტორიული რეალიების (ანომასტიკონი, მოქმედების ადგილები და სხვ.) ქართულად გადმოცემისას ჩვენი დახმარება მას არ დასჭირვებია; პირიქით — მისმა ჩინებულმა თარგმანმა გაგვიადვილა საქმე წინასიტყვაობისა და ვრცელი შენიშვნების წერისას. ა. დიუმას „კავკასია“ ზედიზედ ორჯერ დაიბეჭდა და დღემდე რჩება, ქართველი მკითხველის ერთ-ერთ საყვარელ წიგნად.

ბოლოს დამრჩენია იმის აღნიშვნა, რომ თინათინ ქიქოძე, ვითარცა ჩინებული ოჯახიშვილი და დიდი ეთიკური კულტურით დაჯილდოებული ქართველი ქალი, თავისი ხმის ტემბრითაც კი ყოველთვის მაგონებს დედამისს, დიდბუნებოვან ტასო ამირაჯიბს, რომლის ხმის სილბო და დარბაისლობა მკაფიოდ ჩამრჩენია სმენასა და ხსოვნაში.

**აკაკი გაწერელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნანი შალიკაშვილი

საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი ნანი შალიკაშვილი თავისი შემოქმედების წყაროს ქართველი ხალხის ცხოვრების წიაღში პოულობს. მხატვარი ხშირად მოგზაურობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და აგროვებს მასალას, რომლის თავისებურად დანახვის, გააზრებისა და განცდის უნარი მისი სურათების სერიებში მკაფიოდ იჩენს თავს.

მხატვრის მიერ წლების მანძილზე შექმნილი პეიზაჟები და წიგნის ილუსტრაციები, ჩანახატები და ყოფითი ჟანრის სურათები ცხადყოფს თუ თანდათან როგორ ვითარდებოდა და ყალიბდებოდა მისი მხატვრული მიდგომა და ხელწერა.

ნანი შალიკაშვილმა უმაღლესი განათლება თბილისის სამხატვრო აკადემიაში მიიღო (1936-1942 წ.). ფერწერას მას დავით კაკაბაძე და ვალერიან სიდამონ-ერისთავი ასწავლიდნენ, ხოლო ხატვას — თამარ აბაკელია და სერგო ქობულაძე. აკადემიის დამთავრების შემდეგ ნ. შალიკაშვილი დაბრუნდა მშობლიურ ქუთაისში და იქ თეატრში მუშაობდა. მაგრამ 1947 წლიდან კვლავ თბილისში ჩამოვიდა და კინოსტუდიაში ნახატ ფილმებზე მუშაობა დაიწყო. მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო თანამშრომლობა რეჟისორ მიხეილ ჭიაურელთან, რომლის ხელმძღვანელობით შექმნილია ნახატი ფილმები „განთიადის მომღერალი“, „ქილა ერბო“, „როგორ მარხავდნენ თაგვები კატას“, „რწყილი და ჭიანჭველა“. ამ ფილმებისათვის შესრულებულ ნახატებში იგრძნობა მხატვრის მახვილგონიერება და დაკვირვების უნარი.

50-იანი წლებიდან მხატვარი თანამშრომლობდა ჟურნალ „პიონერში“, ის ტუშით ასრულებდა სატექსტო მასალის ნახატებს. იგი საბავშვო წიგნის ილუსტრაციებზეც მუშაობს. მაგალითად, ნ. ლომოურის მოთხრობა „ქაჯანასათვის, მენცელის ზღაპრისათვის („გუნგლა დათვი ტყეში“), ასურათებს მერი დავითაშვილის საბავშვო სიმღერების ნოტების კრებულს. მხატვარი ბევრს ხატავს აგრეთვე ნატურიდან, უმთავრესად კი — პეიზაჟებსა და ფიგურებს. ფიგურის ჩახატვისას მას ადამიანის ხასიათის, პროფესიის, მდგომარეობის გამოვლენა იზიდავს. აინტერესებს თუ როგორ დგას, ან ზის ადამიანი, როგორ უჭირავს მუშას იარაღი და როგორ ეყრდნობა იდაყვს დაღლილი გლეხი, როგორ უპყრია მესტვირეს სტვირი... მას აინტერესებს მოძრაობის ზუსტი გადმოცემა და ამით — ადამიანის ხასიათის ჩვენება. ამავე წლებში ის ხატავს პეიზაჟებს, რომლებიც აგრეთვე საკმაოდ სახასიათო ფიგურებით არის გამოცოცხლებული. 1956 წელს ნ. შალიკაშვილი პირველად მონაწილეობდა რესპუბლიკურ გამოფენაში, სადაც პეიზაჟები წარმოადგინა.

50-იანი წლების ბოლოს ნ. შალიკაშვილი იწყებს მუშაობას მხატვრების ჯგუფთან, რომელიც ელენე ახვლედიანის ხელმძღვანელობით ხატავდა ძველი და ახალი თბილისის ხედებს, ინდუსტრიულ პეიზაჟებს და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობდა. ამ გამოჩენილ მხატვართან მჭიდრო კავშირმა, ისევე, როგორც ჯგუფის სხვა წევრებთან შემოქმედებითმა ურთიერთობამ, ცხოველმყოფელი ბიძგი მისცა მისი ინდივიდუალური ნიჭის გამოვლენას. ნიშანდობლივია; რომ ის სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს ფიგურებიან კომპოზიციებს, უხვად პოულობს სოფლად იმას, რაც იზიდავს — მკვეთრ ხასიათებს, ფიგურების ბუნებრივ, მარტივსა და მეტყველ მოძრაობას. მან შექმნა რამდენიმე სურათი ინტენსიური ფერების გამოყენებით. ასეთი იყო სამი ნამუშევარი „კახეთის“ სერიიდან, სადაც ფიგურები კაშკაშა ფერებით შესრულებულ პეიზაჟის ფონზეა გამოსახული. მხატვრის თავშეკავებულ ტონალურ გამაში დიდ როლს ასრულებს შავი ფერი.

ნ. შალიკაშვილმა ქართული სოფლის ცხოვრებისა და, საერთოდ, მშრომელი ადამიანის ყოფის ამსახველი სურათების რამდენიმე სერია შექმნა — „კახეთში,“, „სოფლის ჩანახატები“, მათ მოსდევს სერიები „ერთი დღე ქარხანაში“ და „შინმოუსვლელის ამბავი“, რომელთა სურათები ერთი პერსონაჟის ცხოვრების საკვანძო მომენტებს წარმოგვიდგენს. აღსანიშნავია ახლახან შესრულებული სერია „რაც გამახსენდა“.

მხატვარი თითქოს ერთ მოთხრობად აერთიანებს ეპიზოდებს, რომლებიც სინამდვილეში უნახავს. ყველა მის სურათს ნატურიდან შესრულებული სწრაფი ჩანახატი უდევს საფუძვლად. თითოეული სერიის ცალკეულ სურათს დამოუკიდებელი მნიშვნელობაც აქვს, მაგრამ მათ სიუჟეტიც აერთიანებს. მხატვრის ინტერპრეტაციის წყალობით სრულიად ჩვეულებრივ ყოფითს ეპიზოდებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მაგალითად, სიმტკიცისა და მწუხარების სიმბოლოდ წარმოგვიდგება ქალი, რომელიც მინდორში წერილს კითხულობს („უკანასკნელი წერილი“).

ნ. შალიკაშვილის გმირები გარეგნულ სილამაზეს მოკლებულნი არიან, გამომხატველობის გასაძლიერებლად მხატვარი ზოგჯერ დეფორმაციის ხერხსაც იყენებს. ფიგურები მყარად დგანან და მაყურებელი თითქმის მატერიალურად აღიქვამს მიწასთან მათ კავშირს. უშუალოდ შრომის პროცესს მხატვარი იშვიათად ხატავს, მაგრამ თუ ხატავს, მომუშავე ადამიანის მოძრაობა მაქსიმალური სიზუსტით არის მოცემული, მისი პერსონაჟებისთვის შრომა ბუნებრივი მდგომარეობაა.

ზემოთ დასახელებული სურათები გვიჩვენებს, რომ ნანი შალიკაშვილი კომპოზიციის ოსტატია. მთავარ ფიგურებს ის, ჩვეულებრივად, პირველ პლანზე ათავსებს, უახლოებს მაყურებელს, პეიზაჟს, დამატებითს საგნებს ან ეპიზოდებს ის ფიგურებით გამომხატველობის გასაძლიერებლად იყენებს. ფორმები იმდენად არის დამუშავებული, რომ არ ირღვევა მთლიანობა. ფორმების ზოგადი ხასიათი, ფიგურების მასშტაბი და კომპოზიციაში ზუსტად ნაპოვნი ადგილი ამ სურათებს მონუმენტურობას ანიჭებს. ამრიგად, სიუჟეტის მიხედვით ამ ყოფითს სურათებს განზოგადებულის ძალა და მნიშვნელობა ენიჭება. შესრულების ტექნიკაც თავისებურია. მხატვარს ძალიან უყვარს და ჭარბად იყენებს შავ ფერს, ხმარობს ნახშირსაც, რათა შავ, ძლიერ კონტურებს სიმკვრივე, ხოლო დაჩრდილულ ადგილებს სიღრმე მიანიჭოს.

წლების მანძილზე თავდადებულმა შრომამ, გრაფიკის სხვადასხვა დარგში მუშაობამ, ნატურიდან სისტემატურმა ხატვამ მხატვრის კომპოზიციის თანდაყოლილი გრძნობა კიდევ უფრო განავითარა, ხოლო მის ნახატს ძალა და მეტყველება შემატა. ამან მხატვარს საშუალება მისცა ისეთი სურათების შექმნისა, რომლებიც ამ გმირთა სამყაროს ეროვნულ ხასიათს გადმოსცემს.

მერი კარბელაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



● უკანასკნელი წერილი

● ფოტოგრაფთან



● ზესტაფონელი მექუდე



ეროვნული
ბიბლიოთეკა



● ძველი ფარაჯა

ეროვნული ბიბლიოთეკა



● ლატალი



● მულახი — ქალდანების ეზო



● ფასანაურის გზაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ასი, ასი, ასლამაზი...

რეპორტაჟი

ასი, ორასი საკაბეა გამოფენილი თბილისის საწარმოო აბრეშუმის გაერთიანების საფირმო მაღაზიაში რუსთაველის პროსპექტზე.

ვინ მოქსოვა, რა ხელმა მოქსოვა, ამდენი ნაირფერად მოჩითული ქსოვილი.

ჩვენი მუშა ქალების ნახელავია, მათმა მარჯვენამ შექმნა ეს დოვლათი.

დღეს თბილისის საწარმოო აბრეშუმის გაერთიანებაში 1 700-ზე მეტი ქალი შრომობს. მათი ნაწარმი: ნატურალური აბრეშუმი, შიფონი თუ ჟორჟეტი ძალიან მოსწონთ როგორც ჩვენში, ისე რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.

საწარმოს ხელმძღვანელებს გვერდში ვეტერანი და მოწინავე ქალები უდგანან. აქ დიდიხანია არსებობს ქალთა საბჭო, რომელიც მუშა ქალებს ეხმარება საწარმოო გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში, შრომის ნაყოფიერების ზრდასა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში, შრომის მოწინავე მეთოდების დაუფლებაში.

მოვუსმინოთ ქალთა საბჭოს თავმჯდომარესა და მის წევრებს.

**ზინა მჭავანაძე**, ქალთა საბჭოს თავმჯდომარე, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის უფროსი ინჟინერი:

— 1979 წლიდან ქალთა საბჭოს ვხელმძღვანელობ. ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა ჩვენს საწარმოში და, რა თქმა უნდა, ჩვენს ქალთა საბჭოშიც.

უპირველესად, იმით უნდა მოვიწონოთ თავი, რომ ღამის ცვლაში **უფასოა**: მუშების კვება; ბაგა-ბაღში ბავშვების კვება; ბაგა-ბაღის ბავშვების სააგარაკოდ გაყვანა; მუშა-მოსამსახურეთა ბავშვების პიონერთა ბანაკები.

**უფასო** ხაზგასმულია, რადგან ამ პატარა სიტყვის მიღმა ბევრი კარგი ინიციატივა და წამოწყება ჩანს, ეს არც ისე იოლი მისაღწევი და მოსაგვარებელია.

ჩვენთან ფეხმძიმე და მეძუძური ქალები ღამის ცვლაში აღარ მუშაობენ, მათი მოთხოვნის თანახმად მსუბუქ სამუშაოზე გადაჰყავთ და იქაც ერთი საათი დამატებითი შესვენება ეძლევათ.

საწარმოს მუშებს სპეციალური ავტობუსიც ემსახურებათ, რომელსაც შინიდან საწარმოში და პირიქით, საწარმოდან შინ და აგრეთვე საერთო საცხოვრებელში გადაჰყავს და გადმოჰყავს მუშა ქალები.

შარშან, ახალი კანონის თანახმად, ქალთა საბჭომ ნაკლებ უზრუნველყოფილი მუშათა 20 ოჯახი ყოველთვიურად 12 მანეთით დააკმაყოფილა (დახმარების სახით). შეიძლება იფიქროთ, რომ ეს თანხა ცოტაა, მაგრამ თვიურად ხელფასს დამატებული, ნაჩუქარი 12 მანეთი ზოგჯერ მეტად საჭირო თანხაა.

**ცისანა მჭალლავა**, ქალთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, კადრების მომზადების უფროსი ინჟინერი:

— ლამაზი და მოსაწონი ნაწარმი, მსოფლიოს სტანდარტებს რომ უტოლდებოდეს, — აი რაზე ფიქრობს და რისთვის იბრძვის ჩვენი ქალთა კოლექტივი, დიდი თუ პატარა რგოლი. მუშები თუ ინჟინრები, მოდელიორები თუ დიზაინერები ძალღონეს არ იშურებენ, რომ ქსოვილი ხარისხიანი და გემოვნებით მოჩითული იყოს.

ჩვენი საწარმოს გამოშვებული პროდუქცია, უმაღლესი ხარისხის სამამულო ნატურალური ქსოვილებია. ვუშვებთ აგრეთვე ხელოვნურ ნაწარმს: სასარჩულეებს, სალაბადეებს, საკაბეებს, საფარდეებს.

ამის პასუხად საწარმოს ახალი ხელმძღვანელობა (დირექტორი ზ. იოსელიანი) და ქალთა საბჭოც ზრუნავენ, რომ ანაზღაურება გაიზარდოს და მუშათა პირობები შეძლებისდაგვარად გაუმჯობესდეს. ამჟამად მუშის საშუალო ხელფასი 180-200 მანეთია, ვინც მეტს გამოიმუშავებს — 300 მანეთიც.

1983-84 წლებში 300-მდე ქალს ავუმაღლეთ კვალიფიკაციის დონე. სოციალისტური შეჯიბრების დებულების თანახმად, მოწინავე მუშა ქალებს პროფესიაში საუკეთესოს წოდება მივანიჭეთ და ფულადი ჯილდოები გადავეცით — 30 მანეთის ოდენობით. სიგელები გადავეცით აგრეთვე და საპატიო წიგნში შევიტანეთ: დ. ბათხია, ც. კილასონია, ა. წამალაშვილი, ლ. კრიხელი და სხვები, სულ 11 ქალი. დავაჯილდოვეთ რაციონალიზატორი ქალებიც: მ. ბარათელი, ზ. მურვანიძე...

წასახალისებლად მუშებს ხშირად ვასაჩუქრებთ მეგობრობის მატარებლის საგზურებით. საზღვარგარეთ ტურისტულ მოგზაურობაში ჩვენი მუშები საგზურების ღირებულების მხოლოდ 30 პროცენტს იხდიან.

**ლამარა ქარჩხაძე**, ქალთა საბჭოს წევრი, ტექნიკური ლაბორატორიის უფროსი ინჟინერი:

— ვეხმარებით მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს. მართალია, ასეთი დედები ნაკლები გვყავს, მაგრამ მათთვის საერთო საცხოვრებლის, ბაგა-ბაღისა და სკოლის კარი მუდამ ღიაა.

შარშან რვა წლამდე ასაკის ბავშვისათვის 18 დედამ მიიღო დახმარება, ვფიქრობთ მომავალში ეს თანხა გაიზრდება.

მომავალი ბევრ რამეს გვპირდება...

* * *

ქალთა საწარმოში დიდი ზეიმით აღნიშნეს რვა მარტი. ამ დღეს შეხვდნენ გამოჩენილ და ვეტერან ქალებს, მსახიობებს, მუსიკოსებს. ქალთა დღეს ყველა ქალი ლამაზია და ახალი კაბა აცვია, სამამულო ქსოვილით შეკერილი, იმ ასი საკაბიდან...

ასი, ასი, ასლამაზი
ასი კაბა მაცვია...

**ირმა ჩოფიკაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყველა—თქვენს კარზე მოსული...

„თურმანიძეები, უძველესი დროიდან ცნობილი ხალხურ მკურნალთა საგვარეულო ძირითადად ზემო იმერეთის სოფელ შორაპნიდან იყვნენ. განსაკუთრებული წესით დამზადებული მალამოთი მკურნალობენ ინფიცირებულ ჭრილობებს, კანის ზოგიერთ დაავადებას, სიდამწვრეს და სხვ. თავის მკურნალობის მეთოდს გადასცემენ მემკვიდრეებს. ცნობილია, რომ 1812 წ. კახეთის აჯანყების დროს დაჭრილი პოეტის ალ. ჭავჭავაძის სამკურნალოდ ქუთაისიდან მიიწვიეს თურმანიძე.

...საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ თურმანიძეები რუსეთის არმიაშიც მსახურობდნენ ქირურგებად... საბჭოთა ხელისუფლებამ მკურნალობის ოფიციალური ნებართვა მისცა თურმანიძეების ზოგიერთ წარმომადგენელს."

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. V

საქართველოში ბევრია ცნობილი გვარი. ზოგი — მეტად, ზოგი — ნაკლებად. ძნელად თუ მოიძებნება ქართველი კაცი, რომელსაც გაგონილი არ ჰქონდეს და მის წარმოდგენაში მეტად სარგოს, ტკივილის დამაამებელს თითქმის ზღაპრულ ელექსირს არ უკავშირდებოდეს გამოთქმა „თურმანიძის მალამო".

ასეთი განზოგადება „თურმანიძის მალამო" (და არა კონკრეტულად ამა თუ იმ თურმანიძისა) თავისთავად იმას გვეუბნება, რომ სამკურნალწამლო საშუალებათა დამზადების საიდუმლო თურმანიძეთა მთელმა გვარმა იცოდა და, საბედნიეროდ, ეს ჯაჭვი ჩვენს დღეებამდე არ გაწყვეტილა.

ხალხურ მკურნალთა არც ცოდნა დაკარგულა და არც სურვილი — ტანჯვა შეუმსუბუქონ ყველას, ვისაც სჯერა მათი, ვინც კი ტკივილით შეჭირვებული და აღელვებული მათი სტუმართმოყვარე სახლის პარმაღს გადააბიჯებს.

არცერთი ჭკუათმყოფელი არ უარყოფს თანამედროვე მედიცინის გიგანტურ მიღწევებს, მაგრამ არც ის არის საიდუმლო, რომ მსოფლიოს მრავალი მაღალგანვითარებული ქვეყანა სულ უფრო და უფრო ხშირად და მეტი დაკვირვებით მიაპყრობს მზერას ხალხურ მედიცინას, საუკუნეების წინათ ხალხის მიერ აპრობირებულ ბუნებრივ სამკურნალწამლო საშუალებებს, სამკურნალო მცენარეებს, მათს გამოყენებაზე საუკუნეთა წიაღში განმტკიცებულ შეხედულებებს.

ჩაბარდა წარსულს ის ტენდენცია, რომ ყოველივე ძველი, ხალხური დასაგმობია, გადასაგდებია. პირიქით, მარცვალ-მარცვალ ნამცეც-ნამცეც გროვდება ყველაფერი, რაც ხალხურ სიბრძნეს შეუქმნია და შემდეგ, ძნელბედობისას დაკარგულა, დავიწყებას მისცემია. ეს განსაკუთრებით ითქმის ხალხურ მედიცინაზე.

ხალხური მედიცინის გამოცდილების უარყოფა იმას ემგვანებოდა, რომ ხალხურ პოეზიაზე უარი გვეთქვა, აქაო და, პროფესიონალი პოეტები გვყავანანო. რატომ? ერთი მეორეს ამდიდრებს, ამრავალფეროვნებს და, რაც მთავარია, ხალხის დაკვირვების, ანალიტიკური გონების, ძიების, მიხვედრილობის, სიბრძნის მაჩვენებელია, ისტორიული ფენომენია. რომელი ერი იტყვის უარს ამაზე?

აი ერთი საყურადღებო ფაქტი:

„როდესაც იტალიელი ხალხის საამაყო გმირი გარიბალდი ფეხში მძიმედ დაიჭრა, იტალიელმა დასტაქრებმა ვერ შეძლეს მისი განკურნება, უკვე იმასაც ფიქრობდნენ, რომ გარიბალდისათვის ფეხი მოეკვეთათ. ამ დროს ერთ იტალიელს მოაგონდა უებარი მალამოებით ცნობილი ქართველი მკურნალი თურმანიძე. მაშინვე გამოითხოვეს ის საქართველოდან თავისი წამლებითურთ. მკურნალმა ავადმყოფი მძიმე მდგომარეობაში დახვდა. ფეხი ლპობად იყო მისული. თურმანიძე გულმოდგინედ შეუდგა მკურნალობას ქართული წამლებით. მალე ავადმყოფს უკეთესობა დაეტყო. ცოტა ხანში გარიბალდი მთლად განიკურნა — მოსაკვეთი ფეხი გაცოცხლდა. მკურნალი ავადმყოფს გამოჯანმრთელებამდე არ მოსცილებია.

განკურნებულმა და ქართველი ექიმისაგან დიდად დავალებულმა გარიბალდიმ მკურნალი ხალხს წარუდგინა. ტრიალ მინდორზე გაუშვა უბელო ცხენი, გამოეკიდა, დაეწია, მოახტა და კვლავ ამხედრებულმა ხალხს ჩამოუარა, ამით ყველას აჩვენა, რომ ფეხი სრულიად განკურნებოდა. დამსწრეთა გაოცებასა და სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მკურნალი ხელში აიტაცეს და ისე ჩამოატარეს ხალხის წინ. დიდძალი საჩუქრებით გამოისტუმრეს სამშობლოში.

ამ დროიდან იტალიელ ხალხში არის რწმენა, რომ ქართული წამალი სასწაულებრივია, ქართველი მკურნალი — სასწაულმოქმედი ამიტომ მათში დარჩა ტრადიცია, თუ ქართველ ექიმს შეხვდებოდნენ, სამოსელის კალთას აუკრეფდნენ და ზედ ეამბორებოდნენ.

...იტალიის არქივებში დაცული VI—VIII საუკუნეთა ტრაქტატების მიხედვით, შორეულ წარსულში საქართველოდან უცხოეთში ბლომად გაჰქონდათ სამკურნალო საშუალებები, წამლის ნედლეული, სხვადასხვა ბალახი, ყვავილი, ფოთოლი, მცენარის ფესვი, თესლი და სხვა. წერს ვასილ ჩაჩანიძე. („ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტის გარშემო", ნაკადული", 1974 წ.)

სხვათაშორის, ეს წიგნი სწორედ მკურნალ თურმანიძეთა შთამომავლის ქეთევან ვლადიმერის ასულ თურმანიძე-აბზიანიძის ბიბლიოთეკაში ვნახე ავტორისავე სამახსოვრო წარწერით. წიგნს ქეთევანის მეუღლეს ჩინებულ მოღვაწეს ლადო აბზიანიძეს უძღვნიდნენ, რომელიც ყოველთვის გაგებით ეკიდებოდა თურმანიძეთა საგვარეულო საქმეს.

სწორედ ქეთევან თურმანიძეზე მინდა გესაუბროთ ამ წერილში, ამბავს კი იმ ქალის ნათქვამით დავიწყებ, თითქმის ფეხდაფეხ რომ შემომყვა ქეთევანთან მისულს.

ორმოციოდე წლის ქალს მარჯვენა ხელის მტევანი შეხვეული და თხელ დაფაზე დაკრული ჰქონდა. ფერმკრთალ სახეზე ის გამომეტყველება აღბეჭდოდა, დიდი და ხანგრძლივი ტკივილი რომ უტოვებს ადამიანს.

„ქალბატონ ქეთევანთან რომ მივედი, მართალი გითხრათ, მორჩენის არავითარი იმედი აღარ მქონდა.

ფხვნილით რეცხვისას ხელში ინფექცია შემეჭრა. პოლიკლინიკაში ხანგრძლივმა მკურნალობამ შედეგი არ გამოიღო, თუმცა სხივებითაც მიმკურნალეს, გამიჭრეს კიდეც. ჩირქი კვლავ მდიოდა და ძლიერი ტკივილი ღამით თვალს არ მახუჭვინებდა. ქალბატონ ქეთოსთან სრულიად იმედგადაწურული მოვედი, მაგრამ სასწაული კი მოხდა! როგორც კი ხელი „დამიმუშავა" და მალამო წამისვა, წყლული დამიამდა და მთელი ავადმყოფობის მანძილზე პირველად დამეძინა. შეხვევა რომ აუტანელ ტკივილს მგვრიდა და შიშით ვკანკალებდი, ქალბატონ ქეთევანთან შიშის გრძნობაც გამიქრა. მისი მსუბუქი ხელი თითქოს არც კი მეხება, ისე აკეთებს თავის საქმეს".

ამ ქალის ნაამბობს სხვადასხვა ვარიაციით იმეორებს მრავალი წერილი, რომელიც ქალბატონი ქეთევანის სახელზეა მოსული.

დიასახლისის ნებართვით ვხსნით ერთ-ერთს: „პროფესორებმა მკურნალობა ვერ აღმომიჩინეს, თუ გინდ მცირედი, და თქვენმა მარჯვენამ კი განმკურნა. ნება მიბოძეთ თავდახრილმა გითხრათ დიდი მადლობა. გიკოცნით ყველა თითს. პროფესორი თვალჭრელიძე"

მეორეს:

„ ხელოვნება ის კი არ არის, რასაც ჩვენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმნით, არამედ თქვენ რომ ადამიანებს შვება ანიჭებთ“. ვედეკინდი.

მესამეს....

ყველა მათგანი სავსეა კეთილშობილური მადლიერებით, სიხარულით, — მძიმედ დაავადებულ ადამიანს განკურნების შემდეგ რომ ეუფლება და სიცოცხლის სიხარულს ძალუმად განაცდევინებს.

ქეთევანი გასული საუკუნის მიწურულს დაიბადა ხაშურში ცნობილი მკურნალის ლადო თურმანიძის ოჯახში. ლადო და მისი ძმა მალაქია მთელ ამიერ-იმერში განთქმული მკურნალები იყვნენ.

საიდან ჩამოსული მხედარი არ შეჩერდებოდა მათ ჭიშკართან და „მასპინძელოო“ არ დაიძახებდა. მკურნალისაგან უარის თქმა არ იქნებოდა. რამდენჯერ ღამის წკვარამში, ქარსა და წვიმაში, ცხენით დასდგომია მამაც და ბიძაც ავადმყოფის სახლისკენ მიმავალ გზას. და მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ დაბრუნებულან იმით კმაყოფილი, რომ ავადმყოფი გადაარჩინეს.

მამა ატყობდა ქეთოს, მეტად რომ აინტერესებდა სამკურნალო საქმე და ამიტომ გულმოდგინედ აუფლებდა თავის რთულ და საჭირო პროფესიას.

აქ ერთი მცირე წიაღსვლა უნდა გავაკეთო. საერთოდ, ძველად საგვარეულო ხელობის საიდუმლოს მკაცრად იცავდნენ. მას გვარში მხოლოდ ვაჟებს გადასცემდნენ, რათა ქალიშვილს გათხოვების შემდეგ თავისი ქმრისა და შვილებისათვის, (რომლებიც, ცხადია, სხვა გვარისანი იყვნენ) არ ესწავლებინა და ამით გვარს არ დაჰკარგოდა ის, რაც მას სხვა გვარებიდან გამოარჩევდა. ეს განსაკუთრებით წამლების დამზადების საიდუმლოებასა და მკურნალობაზე ვრცელდებოდა. ისინი საიდუმლოს ქაღალდსაც კი არ ანდობდნენ და ზეპირად გადასცემდნენ შთამომავლობას. აი, რას წერს აკაკი წერეთელი თავის „კიკოლას ნაამბობში“: „იმერელი ვარ ნამდვილი, იმერეთს დაბადებული, გვარადაც თურმანიძე ვარ, ჯანიოზობით ქებული.

თვით უკვდავების წყაროში მოზელილი გვაქვს მალამო, მაგრამ ამ საიდუმლობას დიდი სიფრთხილით ვმალავო... ანდერძი საგვარეულო გვიწერს, რომ უნდა დავფაროთ და მოსწავლედაც სხვა გვარის ვერავინ ვერ მივიბაროთ. ქალებსაც კი ვერ ვასწავლით, წესი ამასაც გვაფრთხილებს, რომ მერე მათ არ გადასცენ ეს ცოდნა ქმარსა და შვილებს. მხოლოდ ამ ჩვენს გვარს ეკუთვნის ეს სამკურნალო ხელობა და უხსოვარი დროც არის ამისი ძველისძველობა“.

მაგრამ იწყებოდა ძლევამოსილი მეოცე საუკუნე, რომელსაც პატრიარქალურ ყოფაში ბევრი სიახლე შეჰქონდა.

ასე იყო თუ ისე, ქეთევანმა საფუძვლიანად შეისწავლა მამა-ბიძის საგვარეულო საქმე. მერე უკვე სამოცდათი წელია თურმანიძის მალამო ტკივილს უამებს, წყლულს ურჩენს ათობით და ასობით ადამიანს. ახლა თურმანიძეთა რამდენიმე შთამომავალს ოფიციალურად ნებადართული აქვს წამლის დამზადებისა და მკურნალობის უფლება, მაგრამ ყოველთვის ასე როდი იყო.



კარგ საქმეს, სამწუხაროდ, მოშურნეც არ აკლდება ხოლმე. 20-30-იან წლებში გამოჩნდნენ ცილისმწამებლები, რომლებიც მოქალაქეთა „უვნებლობისათვის ზრუნავდნენ“ და თურმანიძეებს ექიმბაშობაში ამხელდნენ. მაშინ თურმანიძეებმა თხოვნით მიმართეს საბჭოთა მთავრობას: შეამოწმეთ ჩვენი წამლები, ჩვენი მკურნალობის მეთოდები და ან მართლაც აგვიკრძალეთ, ან, თუ კი მის ვარგისიანობაში დარწმუნდებით, ნება დაგვრთეთ, როგორც უძველესი დროიდან მოყოლებული ჩვენი წინაპრები მკურნალობდნენ, ჩვენც ისე ვუმკურნალოთ, ვინც კი მოისურვებსო.

საგანგებო შემოწმების შემდეგ მათ ნება დაერთოთ გაეგრძელებინათ მკურნალობა.

წლეულს ქალბატონი ქეთევან თურმანიძე-აზნიაშვილი... 

და სხვათა ტკივილის დაყუჩებისთვის, მოუნდომებია.

შვილებზე ჩამოვარდა სიტყვა და არ შეიძლება არ ითქვას:

დები აბზიანიძეები — ასე იცნობენ და სიყვარულით იხსენებენ შუა თაობის თბილისელები ქეთევანის მშვენიერ ქალიშვილებს. ცისანა ფილოლოგია, ზეინაბი — ფიზიკოსი, კიბერნეტიკის ინსტიტუტის თანამშრომელი, ნინო ექიმია, პედიატრიის ინსტიტუტში მუშაობს და დედის საქმეს ძირითადად ის განაგრძობს; ელენე მეცნიერი ბიოლოგია, ფიზიოლოგიის ინსტიტუტში მოღვაწეობს ნეიროფიზიოლოგიის განხრით. ელენეს ვაჟი ლევანი, ისევე როგორც ქეთევანის გარდაცვლილი ძმის შვილიშვილი მაკა თურმანიძე სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტია. მათში ისევე როგორც იმ თურმანიძეების ცხოვრებაში, რომლებიც პროფესიით ექიმები არიან, შენივთდება როგორც შთამომავლობით, ისე განათლებით მიღებული ცოდნა და სიყვარული უკეთილშობილესი საქმისა.

ქეთევან თურმანიძე-აბზიანიძეს დიდი ოჯახი აქვს, მაგრამ საქართველოში, საბედნიეროდ, სხვა თურმანიძეებიც ცხოვრობენ.

ბევრ მათგანზე თვითონ ქეთევანმა მითხრა, ისინიც მკურნალობენო, მკურნალი თურმანიძეები ცხოვრობენ თბილისში, ხაშურში, თელავში...

ქეთევანი არ დაუღლია საუბარს, შავი, ცოცხალი თვალებით სათვალის მიღმა ცნობისმოყვარედ მიცქერს. მიყვარს ასეთი მეტყველი თვალები.

ოთხი ქალიშვილიდან ხან ერთი შემოვა ოთახში, ხან მეორე. შესვენებისას ყველა მათგანის გულს დედისაკენ გამოუწევია.

ამ ოჯახში — მოწყალებისა და სათნოების კერაზე — სხვაგვარი შვილები ვერც გაიზრდებოდნენ. სადღაც შვილიშვილები ხმაურობენ. ხან ერთი შემოირბენს ბებიის საკოცნელად, ხან მეორე.

ზურაბ ნიჟარაძისა და თენგიზ მირზაშვილის ნახატებისაკენ გამირბის თვალი.

— მათივე ნაჩუქარია. ლადო გუდიაშვილის, ელენე ახვლედიანის, დავით კაკაბაძის ალბომებიც აქ მადლიერების აღსავსე წარწერებით მოუტანიათ ავტორებს. წიგნებს ხომ ვინ მოთვლის რამდენია და რატომღაც მაინც უფრო ხშირად კონსტანტინე გამსახურდიას და ნოდარ დუმბაძის სახელებს ახსენებს ქალბატონი ქეთევანი.

ავადმყოფი უცდიდა და მე წამოსასვლელად ავჩქარდი.

გულახდილად უნდა ვთქვა, ამ ოჯახში იმდენი ყურადღება და სათნოებაა, მიჭირდა წამოსვლა. მესამე სართულს არ ვიყავი ჩამოცილებული, რომ ხელშეხვეული ახალგაზრდა ქალი შემომხვდა. ზემოთ მიდიოდა.

ანა კალანდაძის სიტყვები გამახსენდა, ქეთევანისადმი მიწერილი, და ლოცვასავით გავიმეორე: „ჯანმრთელობა გქონდეთ, რომ თქვენს გვაროვნულ ღვთაებრივ ელექსირს თქვენთვის ჩვეული გულმოწყალებით აზიაროთ ყველა — თქვენს კარზე მოსული“.

აბა ანასას მე რაღას დავუმატებდი!

ნარგიზა მგელაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



კლარა ბოკუჩავა აღსაზრდელებთან

# კეთილი ადამიანები 76-ე ბაგა-ბაღიდან

დიდი პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკი გვირჩევდა: თუ გინდა ჩასწვდე ამა თუ იმ დაწესებულების მუშაობის სტილს, გაეცანი მის კედლებზე გამოფენილ განცხადებებსა და პლაკატებსო. ჩვენც მივსდიეთ ამ რჩევას. ვათვალიერებთ თბილისის საქარხნო რაიონის 76-ე ბაგა-ბაღის დერეფნების კედლებს. აი, ფერადი ფოტოსტენდი: გოგონები ოთახის ყვავილებს რწყავენ, სხვები ხელებდაკაპიწებულნი და წინსაფარაფარებულნი სუფრას შლიან, ზოგი ნემსმომარჯვებული შრომის პირველ ავტოგრაფს სტოვებს საქარგავზე, ბიჭუნები გულდაგულ რაღაცას „ჭანჭიკელობენ" შრომის კუთხეში. იქით, დერეფნები ზღაპართა პერსონაჟებსა და ბავშვთა წიგნების გმირებს აუფერადებიათ. პატარების შემოქმედებაც აქვეა გამოფენილი, განსაკუთრებით თვალს იტაცებს პლასტელინის ქვევრი, რომელიც პატარა მოქანდაკის ფანტაზიას ლობიოს მარცვლებით მოუჭიქავს. და უცებ, ვკითხულობთ სიტყვებს, მთელი კოლექტივის ფიცივით რომ გაისმის — „ბავშვებისათვის ჩვენ ყველანი ვაგებთ პასუხს", „მშობლებო! დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ჩვენი ბაგა-ბაღის თანამშრომლები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ თქვენმა შვილებმა აქ მშვიდად და ბედნიერად იგრძნონ თავი, არ მოაკლდეთ მშობლიური სითბო და ალერსი, არ იგრძნონ უდედობა".

ამ აღთქმის უტყუარი აღსრულების დასტურია ის სიგელები და მშობელთა მადლობის წერილები, რომელთაც დიდი მორიდებით გვიჩვენებს ბაგა-ბაღის გამგე კლარა ბოკუჩავა. ვუყურებთ ამ სათნო, ჩუმ, ძველად რომ იტყოდნენ „მყუდრო დუმილის ნავსაყუდელში მიმდგარ" ადამიანს და ვგრძნობთ, რაოდენ მეტყველია საქმეში განივთებული ეს სიჩუმე, განივთებული იმ წესრიგსა და განსპეტაკებულ სისუფთავეში, რომელიც ბაღის ყოველ კუთხე-კუნჭულში სუფევს.

ქალბატონი კლარა თითქმის სამი ათეული წელია ემსახურება ამ კეთილშობილ საქმეს. იგი ბაღის მრავალი „ფერისცვალების" მომსწრეა: ბაღმა „ფეხი აიდგა" ბარაკული ტიპის პატარა შენობაში, ახლა კი დერეფნებით დაკავშირებულ ორ კორპუსიან მშვენიერ შენობას ფლობს. ბაგა-ბაღი პირველად 250 ბავშვისთვის დაგეგმეს, შემდგომში მხედველობაში მიიღეს მშრომელთა განცხადებები, და ამჟამად, რვა ქართულ და ოთხ რუსულ ჯგუფში 400 ბავშვია. ნახევარზე მეტი მარტოხელა დედათა შვილებია. კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, ასეთი ჭარბი ბავშვიანობა აღსაზრდელებს არამც და არამც არ დასტყობიათ, არ დაპკლებიათ აღმზრდელთა ზრუნვა.

ქალბატონმა კლარამ დიდი მადლიერებით მოიხსენია საქარხნო რაიონის პარტიის რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი კ. კაპანაძე, რომელსაც მზრუნველობა არ დაუკლია ბაღისათვის, ხოლო ახლანდელი მდივანი ბ. შოშიტაიშვილი დაჰპირებია პატარებს სპორტული დარბაზისა და საცურაო აუზის აშენებას. დარწმუნებული ვართ, საქმეც არ დაახანებს და, თუ ახლა პატარები სპორტულ წვრთნას დროებით მუსიკალურ დარბაზში გადიან, მალე ისინი ახალ დარბაზსა და აუზში გამოავლენენ თავიანთ სიჩაუქეს.

ნიჭიერი, საქმის კარგი მცოდნე მეთოდისტი დარეჯან გაბათაშვილი გვიჩვენებს კაბინეტს, სადაც ბავშვთა ზრდა-განვითარებისათვის საჭირო ასობით დიდაქტიკური და ვიზუალური მასალაა თავმოყრილი, დაწყებული თითების გასავითარებელი ზონარებითა და ქუჩაში მოძრაობის წესების ნიშნებით, დამთავრებული კინოსაპროექციო აპარატით. კინოფირებისა და საჭირო ლიტერატურის მხრივ რუსული ჯგუფები უფრო უზრუნველყოფილნი არიან, ვიდრე — ქართული. ამაზე ალბათ უნდა იზრუნოს თვალსაჩინოების ცენტრალურმა ბაზამ და ჩვენმა გამომცემლობებმა, ისინი ჯერ კიდევ ვალში რჩებიან ჩვენი პატარების — ჩვენი ხვალინდელი დღის წინაშე.

ეს მშვენიერი ბაგა-ბაღი, რაღა თქმა უნდა, მთელი შედუღაბებული კოლექტივის მუშაობის შედეგია, მაგრამ კარგ თანამშრომელთა შორის გამგე მაინც გამოარჩევს წარჩინებულ პედაგოგებს: ნინო გიორგაძეს, ტაისია შემიაკინას, გულნაზი გუგეშაშვილს, ნანული ჯავაშვილს, მუსიკოს ნატო ქორიძეს და სხვას.

შევდივართ ტაისია შემიაკინას ჯგუფში. აქ პატარებს წრე შეუკრავთ და გატაცებით ამბობენ ლექსებს ნაძვის ხეზე, ზამთარზე და თოვლზე. აღმზრდელის შეკითხვაზე თოვლი რა ფერიაო, პატარები ერთხმად უპასუხებენ — თეთრიო. მხოლოდ ერთი — თმაქუჩქუჩა, ონავარი ლევანიკო აცხადებს — ცისფერიაო. რა გაეწყობა, ასეთ რამეზე „პოეტებს" არ ედავებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გოგონების ნარნარი და ბიჭუნების ექსპრესიული ცეკვით მოვიხიბლეთ პედაგოგ ნინო გიორგაძის ჯგუფში. აქაც ლექსების ზარზეიმი იყო. ბაგა-ბაღში ლექსის ისეთი წამკითხველები ჰყავთ, რომ თვით ბავშვთა საჩინო პოეტს გივი ჭიჭინაძეს ულიარებია, — ფარ-ხმალს ვყრი, ასე მე ჩემს ლექსს ვერ წავიკითხავდიო.

ბაღში დიდი ყურადღება ექცევა ბავშვთა ჰარმონიულ განვითარებას. აქ ცდილობენ ერთნაირად „გაუღონ პატარას გულის და გონების კარი“. პირველ კლასში (პედაგოგი ციალა ჯაში) ბავშვებს ასწავლიან მშობლიურ ენას, მათემატიკას, შრომას, ფიზკულტურას. აქ უკვე თავისი აღიარებული პატარა მათემატიკოსებიც ჰყავთ. აი, მაგალითად, კობა ბაგაშვილი. ვუმზერთ მის ლამაზ „ღვინია“ თვალებს და ვგრძნობთ, ამ თვალებღვინია ბიჭუნას გონება უკვე „გადაჩეხილია“ ერთიდან ათამდე მათემატიკურ „ლაბირინთებში“.





როგორც აღვნიშნეთ, არც შრომის გაკვეთილებია დავიწყებული. უფროსი ჯგუფელები პედაგოგებს ეხმარებიან ბოსტნის დამუშავებაში, უვლიან ეზოში დარგულ ხეებს. სხვანაირად არც შეიძლება. ეს ხომ მათი მშობლიური ეზოა. აქ ნებისმიერ ამინდში გამოჰყავთ ბავშვები და აკაჟებენ (მიუხედავად ზოგი მშობლის ჭირვეულობისა და პრეტენზიებისა). ჰაერს, ბავშვებისათვის ჯერჯერობით არ უვნია. ანდა, როგორ ავნებდა, როცა პატარების ჯანმრთელობას მცოდნე, ენერგიული, კეთილსინდისიერი ექიმი — ნინო ბუხაიძე დასდგომია მცველად; იგი ნიადაგ მზად არის პატარების სატკივარი გაითავისოს, მალამოდ დაედოს. დასტურ ამისა — პატარების მისადმი ნეტარი ღიმილია. დაბოლოს, პატივცემულ გამგეს ძიძა ოლია ფლოინაშვილზე ვეკითხებით — მას ხომ მშობლები წერილებით ქებათა-ქებას ასხამენ.

მოგეხსენებათ, სიტყვა „ძიძას“ ქართულში და სხვა ენებშიც, რაღაც ჯადო-თილისმა აქვს. მისი საქმიანობა ბაგის ყოველდღიურობაში საკმაოდ შრომატევადია, დიდ ჯაფას მოითხოვს. მაგრამ გაიცნობთ თუ არა ძიძა ოლია ფლოინაშვილს და დააკვირდებით ბალღებისადმი მის დედობრივ ზრუნვას, მაშინვე თქვენ არსებაში ამ დალოცვილი სიტყვის მადლი თავისი პირველქმნილებით აღსდგება. ეს პატარა ტანის დაუდეგარი ქალი დიდი ლილოდან ბავშვებისადმი სიყვარულით გამთბარ გულს წამოუყვანია, დროს ეს გული არ გაუცივებია და აგერ უკვე რვა წელია დედობრივ ზრუნვას არ იშურებს მათთვის. რომელიმე თუ ბაღში არ მოიყვანეს, ოლია სახლში აკითხავს, რომელიმე თუ საჭმელს არ სჭამს, ძიძა-ოლია ტირის. ამაზე უკეთესს კაცი ვერ ინატრებს...

ვემშვიდობებით ბაგა-ბაღს, ბავშვებს სძინავთ.

იძინეთ ტკბილად, პატარა ლექსო, ნათია, ვიქტორია, დათო. თქვენს ძილს კეთილი ადამიანები სდარაჯობენ!

დ. იაკობაშვილის ფოტოები



**ნათელა ტაბატაძე**

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი სახელები

ძველთაგანვე კარგად იყო ცნობილი, რა როლი ენიჭებოდა კორიფეს — ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ სფეროში. მას ყველა ბაძავდა, ცდილობდა მის მსგავსად ემოქმედა, ხშირად კი სალოცავ ხატადაც იხდიდა...

ამჯერად, კორიფე ქართულ ჭადრაკში მისმა არ არსებობამ კი არ გაგვახსენა, პირიქით... ჩვენმა ახალგაზრდებმა იციან, ვის მიბაძონ, საითკენ უნდა აიღონ გეზი. არც ისე დიდი ხნის წინათ ხომ ნონა გაფრინდაშვილს კვალში ჩაუდგა ნანა ალექსანდრია, გაიარა ცოტა ხანმაც და კორიფეს როლის შესრულება მაია ჩიბურდანიძეს დაეკისრა.

ძველთაგანვე ისიც კარგად იყო ცნობილი, რომ მუდმივი ამ ქვეყნად არა არის რა. ყველაფერი იცვლება, ყველაფერი ვითარდება...

მაშ ვინ ამოუდგება მხარში ჩვენი ჭადრაკის სახელგანთქმულ ვარსკვლავებს?!

ქეთინო არახამია ჯერ კიდევ საშუალო სკოლის მოსწავლეა (1968 წელს დაიბადა). წინასწარმეტყველება ჭადრაკში ძალზე უმადურ საქმედ ითვლება, ხშირად ყველაფერი პირიქით ხდება. ამიტომ, მოდით, იმაზე კი ნუ ვილაპარაკებთ, რაც შეიძლება მოხდეს, ის ვთქვათ, რაც უკვე მოხდა. ნუ გამოვალთ რეალობის სფეროდან და ისე გადავხედოთ 16 წლის გოგონას მოკლე, მაგრამ უკვე შთამბეჭდავ სპორტულ გზას. ოჩამჩირელი მწვრთნელი რენცო ჭედია უდავოდ კარგად მოიქცა, პატარა ქეთინოს რომ მიაქცია ყურადღება. პატარა, მომხიბლავი ოჩამჩირე ვერაფერი საჭადრაკო ცენტრი გახლავთ. საჭადრაკო კლუბი აქ, ცხადია, არ არის, არავის მოაფიქრდება ადგილობრივი მაღაზიისათვის საჭადრაკო წიგნის გაგზავნა (მაინც არავინ იყიდის!). ასეთ პირობებში ჭედიამ გადაწყვიტა, რომ ქეთინოსათვის საჭადრაკო კლუბიც და საჭადრაკო ბიბლიოთეკაც მწვრთნელის ბინა იქნებოდა. აქ ნახა პირველად ქეთინომ საჭადრაკო ლიტერატურა, ისწავლა პარტიების გარჩევა, გაეცნო იმ ჯადოსნურ სამყაროს, რომელსაც ჭადრაკი ჰქვია.

ფეხზე თუ ვილაპარაკებთ, მალე იგი თბილისელმა მწვრთნელმა გურამ მაჭავარიანმაც გამოიჩინა. ერთი ციდა გოგონა მან მოსწავლეთა ერთ-ერთ რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე ნახა და მანამდე არ მოისვენა, სანამ იგი თბილისში არ გადმოიყვანა. დიახ, მწვრთნელმა სწორად განჭვრიტა, რომ ოჩამჩირე ასეთი ნიჭის მქონე გოგონასათვის მართლაც და მცირე ასპარეზი იქნებოდა.

დღეს ჩვენ უკვე შეგვიძლია ვილაპარაკოთ, თუ რა შედეგები მოჰყვა მწვრთნელების რუდუნებას. ქეთინო არაერთგზის გახდა საქართველოს ჩემპიონი გოგონათა შორის. გოგონათა შეჯიბრება იქით იყოს, იგი ორჯერ გახდა (1983 და 1984 წლებში)— საქართველოს ჩემპიონი ქალთა შორის. 1983 წელს მან I-II ადგილები გაიყო საბჭოთა კავშირის მოსწავლეთა ჩემპიონატში. უფრო ადრე 1982 წელს I-II ადგილები რუმინეთში გამართულ ქალთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში.

რომელია ყველაზე ძლიერი იმ შეჯიბრებათაგან, რომელიც ჩვენთან ყოველწლიურად ტარდება? რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ქალთა შორის. და აი აი დიდ პრესტიჟულ ტურნირში ქეთინომ უკვე ორჯერ ითამაშა (1982 და 1984 წლებში), ითამაშა ისე ძლიერად და დამაჯერებლად, თითქოს ყოველთვის ესოდენი მასშტაბის შეჯიბრებებში უხდებოდა გამოსვლა. „ნიჭი, ბიძიკო, ნიჭი...“ ბოლოს, ასეთი წარმატების შედეგი კი ის იყო, რომ არახამიამ ქალთა მსოფლიოს პირველობის ზონალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება მიიღო ნონა გაფრინდაშვილისა და მაია ჩიბურდანიძის სამშობლოში. ეს შეიძლება უპრეცენდენტო მოვლენა არ იყოს, მაგრამ მაინც დიდად შთამბეჭდავი შედეგი გახლავთ.

ნუ დაგავიწყდება, მკითხველო, რომ ჩვენ მოსწავლეზე, გოგონაზე ვსაუბრობთ...

როგორც კარგად მოგეხსენებათ, ჭადრაკს თავისი „რუკა“ აქვს. იგი ძალზე განსხვავდება მსოფლიოს პოლიტიკური რუკისაგან. საკმარისია აღინიშნოს, რომ ჭადრაკის „რუკაზე“ ვერ მონახავთ ისეთ უზარმაზარ ქალაქებს, როგორიც არის ტოკიო, მეხიკო, გნებავთ, რომი.

სამაგიეროდ აქ ისეთი ქალაქები და სოფლებია, რომელთაც შესაძლოა, სხვაგან ვერსად მოძებნით. ოჩამჩირეზე ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ, ახლა უფრო მომცრო დასახლებული პუნქტის ჯერი დგება.

ამ რამდენიმე წლის წინ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ფართოდ ცნობილმა ოსტატმა ნანა იოსელიანმა მესტიაში ერთდროული თამაშის სეანსი გამართა. მოჭადრაკეთა სტუმრობა მესტიაში საკმაოდ იშვიათი ამბავი გახლავთ და ამ სეანსს დიდძალი ხალხი დაესწრო. მაყურებლებს, თავდაჭერილ სვანებს, ცოტა არ იყოს, უკვირდათ კიდეც, რომ იოსელიანს, როცა იგი დაფასთან მიდიოდა, სადაც მის წინააღმდეგ ბაფთიანი გოგონა თამაშობდა, ხშირად ელიმებოდა. საქმე კი, აი, რაში ყოფილა: გოგონამ სვლები კარგად არ იცოდა, მაგრამ სახელოვან მოჭადრაკესთან მანაც მოისურვა თამაში. სურვილი კარგი საქმეა, მაგრამ გოგონას რომ სვლები ეშლებოდა! სამაგიეროდ პატარა ქეთინო მეტისმეტი სერიოზულობით თამაშობდა, მაინცდამაინც უნდოდა მოეგო. სვანებმა იცოდნენ, ვინ იყო იგი: გოგონას ბიძას, ბორის კახიანს მესტიაში კი არა, მთელ საქართველოში ჰქონდა სახელი გავარდნილი.

გავიდა ხანი. ქეთინოს მშობლები საცხოვრებლად გარდაბნის რაიონის სოფელ დიდ ლილოში გადავიდნენ. გოგონა არ ისვენებდა, მას კარგად ახსოვდა მესტიაში გამართული სეანსი და უნდოდა ნამდვილი მოჭადრაკე გამხდარიყო. ოჩამჩირესი არ იყოს, ცხადია, დიდ ლილოში არც საჭადრაკო კლუბია და ასე გასინჯეთ, არც მწვრთნელი. მაგრამ თბილისი ხომ არც ისე შორს არის და აი, ქეთინო კახიანმა (იგი 1971

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელს არის დაბადებული), ცხადია, დედის თანხლებით, ყოველდღე თბილისის ჭადრაკის სასახლეში დაიწყო სიარული. დიახ, დილით სკოლა, შემდეგ გაკვეთილების მომზადება, შემდეგ ავტობუსი, თბილისი, ჭადრაკის სასახლე, მეცადინეობა რამდენიმე საათის მანძილზე, ისევ ავტობუსი და ასე ყოველდღე. არა გვგონია, ბევრს შეძლებოდა ასეთი რეჟიმის დაცვა. დიახ, ბავშვი გართობის გარეშე, დაუსვენებლად, ბავშვი. რომელსაც ამოძრავებს ერთი სურვილი — გახდეს მოჭადრაკე. ვფიქრობთ, ძალზე გადაჭარბებული არ გამოგვივა, თუ ვიტყვით, რომ ეს შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ ჩვენთან, სადაც ნონასა და მაიას მაგალითმა ჭადრაკი საყოველთაო სიყვარულის საგანი გახადა.

კიდევ კარგი, რომ ქეთინოს ეს დიდი შეუპოვრობა ამაო არ გამოდგა. ცნობილია, თუ რა როლს ასრულებს მოჭადრაკის ჩამოყალიბებაში მწვრთნელი. კახიანს კი მართლაც შესანიშნავი ხელმძღვანელი შეხვდა, ახალგაზრდა, მაგრამ ფრიად ერუდირებული სპეციალისტის გიორგი მაჭარაშვილის სახით. თავის დროზე მაჭარაშვილმა კარგი სკოლა გაიარა საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ შოთა ინწკირველთან. მან გოგონას კიდევ უფრო განუმტკიცა სურვილი დაუფლებოდა ჭადრაკს. უნდა ნახოთ, როგორ თამაშობს ქეთინო ჭადრაკს. ერთი წუთითაც არ ცილდება დაფას, მის მთელ მოქმედებაში ერთი მიზანი ჩანს — ჩაწვდეს პოზიციის საიდუმლოებას. გარეგნულად ეს ის გოგონაა, ნანა იოსელიანს რომ ეთამაშა მესტიაში, ოღონდ ახლა ცოდნით შეიარაღებული...

1983 წლის ივლისში ქვემო სვანეთის კურორტ მუაშში საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა გოგონათა შორის. გაიმარჯვა ქეთინო კახიანმა. გავიდა ერთი წელიც — სამტრედიაში ამნაირ შეჯიბრებაში ისევ კახიანმა გაიმარჯვა. კიდევ ერთი შეჯიბრება საქართველოს უძლიერეს მოჭადრაკე გოგონათა შორის, ამჯერად სიღნაღში. არავის გაკვირვებია, რომ პირველი ადგილი ისევ კახიანს დარჩა.

ქეთინო მეშვიდე კლასშია. დილით სკოლა, შემდეგ გაკვეთილების მომზადება, შემდეგ ავტობუსი, თბილისი, ჭადრაკის სასახლე, ისევ ავტობუსი, ხვალ კი ყველაფერი თავიდან დაიწყება...

თითქოს ყოველდღე ერთი და იგივე ამბები ხდება, მაგრამ სინამდვილეში საქმე მთლად ასე არ არის. ნიჭი, რომელიც საოცარ მონდომებაზე და შეუპოვრობაზეა გამრავლებული, ნაყოფს გამოიღებს. ხომ იმარჯვებს ქეთინო მოსწავლეთა ყველა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში! ჩვენ ღრმად გვწამს — გაივლის ცოტა ხანიც და ეს მართლაც და საოცარი გოგონა დიდ საჭადრაკო მწვერვალებს დაიმორჩილებს. და მაშინ საჭადრაკო რუკაზე ერთბაშად ორი, ბევრისათვის ნაკლებად ცნობილი ადგილიც აღინიშნება — მესტია და დიდი ლილო!

**გივი გამრეკელი**

## ადამიანი ჯანმრთელი რომ იყოს

# ქალებო, ნუ მოსწევთ!

მეცნიერებმა საბოლოოდ დაასკვნეს, რომ თამბაქოს წევა მავნებელია! მავნე ნივთიერებები (ნიკოტინი, ამიაკი, ვისი, ნახშირჟანგი და სხვა), რომლებსაც თამბაქო შეიცავს, უარყოფითად მოქმედებს ნერვულ და გულსისხლძარღვთა სისტემებზე: ხელს უწყობს კიბოს და სხვა დაავადებათა განვითარებას. უკანასკნელი ორი-სამი ათეული წლის მანძილზე ეკონომიკურად განვითარებულ თითქმის ყველა ქვეყანაში შეიმჩნევა ფილტვის კიბოთი დაავადებულთა რიცხვის ზრდა. ინგლისში, უკანასკნელ 30 წელიწადში ეს დაავადება გაიზარდა 13-ჯერ. ნორვეგიაში 20 წელიწადში — 7,5-ჯერ, ამერიკის შეერთებულ შტატებში — 36 წლის მანძილზე — 28-ჯერ. სსრ კავშირში ბოლო წლების განმავლობაში 2-ჯერ.

სტატისტიკური მასალები ადასტურებენ, რომ თამბაქოს ხანგრძლივად მწეველთა შორის სტენოკარდიულ დაავადებებს ვხვდებით 13-ჯერ, მიოკარდიუმის ინფარქტს — 12-ჯერ, ხოლო კუჭის წყლულს — 10-ჯერ უფრო მეტად, ვიდრე არამწეველებში.

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ თამბაქოს მწეველთა რიცხვი იზრდება მოსწავლე ახალგაზრდობის ხარჯზე.

ყველა ქალს სურს ლამაზი და მომხიბვლელი იყოს! სიგარეტი კი ქალიშვილს არასდროს ალამაზებდა. გამოჩენილმა რუსმა მწერალმა ა. ჩეხოვმა თავის დროზე ბრძანა, მწეველი ქალის კოცნა იგივეა, რაც საფერფლისა. მოდას აყოლილი მწეველი ქალიშვილი ნაადრევად ჭკნება და უშნოვდება. იგი თავის ასაკთან შედარებით 10-15 წლით უფროსად გამოიყურება. ხმა ეხლიჩება, ხშირად ემართება ბრონქიტი, რასაც მოსდევს ხველა და სუნთქვის გაძნელება.

ბევრს გამოუცდია პირველი სიგარეტისგან გამოწვეული უსიამოვნო შეგრძნებები: თავბრუსხვევა, ყურებში შუილი, მაჯის გახშირება, სისუსტე, გულისრევა და სხვა. მაგრამ ბევრი მაინც იტანს თავს ძალას. არსებობს ყალბი შეხედულება, თითქოს სიგარეტის წევა ხელს უწყობდეს გახდომას. ქალიშვილთა გარკვეული ნაწილი ამისათვის იწამლავს თავს თამბაქოს ბოლით.

თამბაქოს წევა განსაკუთრებით დამღუპველად მოქმედებს მოსწავლეებზე. მათ ეფანტებათ ყურადღება, უქვეითდებათ მეხსიერება, უავადდებათ ბევრი ორგანო. გამოკვლევები გვიჩვენებს, მწეველ სტუდენტთა მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხი 7 პროცენტით დაბალია. მწეველი მოსწავლეები უდისციპლინონი და ნერვიულები არიან.

მართალია, ახალგაზრდობაში არავინ ფიქრობს დაავადებაზე, მაგრამ ჩვენი ვალია მათ შევახსენოთ — თამბაქოს ბოლით ისინი იშხამავენ და ივადებენ საკუთარ თავსაც და ზიანს აყენებენ იმ უდანაშაულო ადამიანებსაც, ვინც მათ გარშემოა.

ყველას უნდა ახსოვდეს რომ, თუ პაპიროსის წევას მიეჩვია, მისი თავის დანებება მერე ძალიან ძნელია. მიუხედავად ამისა, ბოლოს მაინც იძულებული გახდება თავი დაანებოს, რადგან წინ უდევს ქორწინება, ორსულობის პერიოდი, მშობიარობა, ბავშვის კვება და სხვა. საჭიროა დროულად დაფიქრდეთ ამაზე. მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, ძლიერი ნებისყოფის პიროვნება მაინც შესძლებს მიატოვოს სიგარეტი მედიცინის ჩაურევლად.

არ შემიძლია არ გავიხსენო ერთი შემთხვევა, რომელსაც ჩემი მუშაობის პრაქტიკაში შევხვდი. ერთ-ერთ დაწესებულებაში მუშაობს ახალგაზრდა ქალი, რომელიც სიგარეტს 14 წლიდან ეწევა, და აი დადგა დრო, როცა საჭირო გახდა სიგარეტის მიტოვება. მას არ ეყო ნებისყოფა, თავად მიეტოვებინა სიგარეტი და დახმარებისათვის ჩვენ მოგვმართა. საუბარში გამოირკვა, რომ ინსტიტუტში სწავლისას ჯერ ფარულად ეწეოდა, შემდეგ კი შეხვდა ქალიშვილების ჯგუფს, რომლებიც თავისუფლად ეწეოდნენ... იმდენად ძლიერი აღმოჩნდა ეს მავნე ჩვევა, რომ ჩვენს რჩევაზე, დაუყოვნებლივ მიეტოვებინა სიგარეტი, გაგვიცხადა: იმდენად ვარ სიგარეტს მიჩვეული, რომ ქმარი შემიძლია დავტოვო, თამბაქო კი არაო. სიგარეტზე შეყვარებული, ქმართან გაცილებას არჩევდა. ჩვენმა ყოველდღიურმა შთაგონებამ და დაულალავმა შრომამ ნაყოფი გამოიღო. სათანადო მედიკამენტების დახმარებით ქალი ვიხსენით სიგარეტის ტყვეობისაგან.

სიგარეტის მწეველ ყველა დედას უნდა ახსოვდეს, რომ თამბაქოთი გამოწვეული სიამოვნებით სხვას უშხამავენ სიცოცხლეს: ოთახში, სადაც ახალშობილი ბავშვია, ყოვლად დაუშვებელია თამბაქოს მოწევა. დედის რძით ბავშვს გადაეცემა თამბაქოს შხამები.

თამბაქოს წევის მავნებლობისა და მისი პროფილაქტიკის შესახებ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო მთელ რიგ ღონისძიებებს ატარებს.

პიროვნებამ, რომელსაც სურს მიატოვოს თამბაქოს წევა, მაგრამ თავისით უჭირს, შეუძლია მიაკითხოს სამკურნალო დაწესებულებებს, სახელდობრ ფსიქიატრ-ნარკოლოგებს.

**გიორგი აბულაშვილი,**
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, რესპუბლიკის ფსიქიატრიული საავადმყოფოს დისპანსერული განყოფილების გამგე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისინი თვრამეტი წლისანი იყვნენ...



ფრონტელი მეგობრები დ. გავაკეთაშვილი, მ. კახიძე, დ. ჯებაშვილი

ლოდინით გული გაელია...

ერთი წელი გავიდა, რაც ერთადერთი ძმა ფრონტზე იყო წასული. შინაურებს ვერ უმხელდა, რომ თვითონაც ფრონტზე უნდოდა წასვლა, ვაი თუ უარი მითხრანო. თბილისის ცაზე ყოველი თვითმფრინავის გამოჩენისას გული სხვანაირად შეუჩქროლდებოდა, ჩანაფიქრის განხორციელების სურვილი უძლიერდებოდა. ხელსაყრელ მომენტს ელოდა. ან თავად უნდა მისულიყო სამხედრო კომისარიატში და მოხალისედ გაგზავნა ეთხოვა, ანდა გაპარულიყო...

ეს დღეც მოვიდა — 1942 წლის 8 აპრილი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკანატმა კომკავშირელ გოგონებს ფრონტზე წასვლა მოუწოდა.

ეკონომიკის ფაკულტეტის მეორეკურსელებმა უყოყმანოდ მიიღეს გამოწვევა. რვა კომკავშირელი რიგრიგობით მივიდა დაფასთან. საკუთარი ხელით ჩამოწერეს თავიანთი გვარები, პირველი მათ შორის მარიამ კახიძე იყო, — ყველაზე ტანმორჩილი, მოუსვენარი, სიცოცხლითა და ენერგიით სავსე, სამაგალითო კომკავშირელი და მოწინავე სტუდენტი, აბა ზარმაცი და მოშიშარი ვის რაში გამოადგებოდა! ორჯონიკიძის სახელობის კომკავშირის რაიკომში გოგონებს გადაწყვეტილება მოუწონეს. იმ დღეს 415-ე საზენიტო-საარტილერიო პოლკში მოხალისედ 100-მდე კომკავშირელი გოგონა ჩაირიცხა. ისინი მხოლოდ თვრამეტ-ცხრამეტი წლისანი იყვნენ.

საბრძოლო ფიცის მიღების შემდეგ მეოთხე ბატარეაში თოთხმეტი უნივერსიტეტელი ქალიშვილი გაამწესეს. გოგონები საზრიანი გუშაგები გამოდგნენ, მტრის თვითმფრინავის ხმის გაგონებისას მექვემეხეებს ანიშნებდნენ საბედისწერო თვითმფრინავის მოახლოებას.

ერთი წლის შემდეგ პოლკი, რომელშიც 300-მდე ქალი იყო, ჩაპლინოში იბრძოდა. ქალიშვილებს განსაკუთრებული ყურადღებითა და მამაშვილური სითბოთი ექცეოდნენ პოლკოვნიკი გრეჩკასეი და ასმეთაური სკობოლევი. ისინი იმ დათმობაზეც კი წავიდნენ, რომ ქართველ გოგონებს ნაწნავები არ შეეჭრათ. არნახული საგმირო საქმეები ჩაიდინა 415-ე საზენიტო პოლკმა დნეპროპეტროვსკში, სადაც წელიწადზე მეტხანს დაჰყვეს. 1944 წელს კი საბჭოთა საზღვრები გადალახეს და კრაკოვში შევიდნენ. 1945 წლის იანვრამდე გერმანიის ქალაქ ბრესლაუში იბრძოდნენ. გოგონების დევიზი იყო, მტერი თავის ბუნაგშივე გაენადგურებინათ. მარიამ კახიძემ და მისმა თანამებრძოლებმა მტრის ხუთი თვითმფრინავი ჩამოაგდეს, რისთვისაც ბატარეის უფროსი ს. სკობოლევი წითელი ვარსკვლავის ორდენით დააჯილდოვეს, მარიამმა უმაღლესი მთავარსარდლის პირველი პირადი მადლობა მაშინ მიიღო, ასეთივე ჯილდო მოგვიანებით მეორედაც ერგო.

— ერთხელ, — იგონებს მარიამი, — ჩაპლინოში საშინელი მძიმე დღე ჩამოწვა, ყინვა 30 გრადუსს აღწევდა. ეშელონს ადგილიდან დაძვრა უჭირდა, სურხათიც შემოგველია, საბჭოთა ჯარები წარმატებით მიიწევდა წინ. ფეხოსანთა არმია ანადგურებდა მტერს. ჩვენი—საზენიტო-საარტილერიო, რომელშიც მოჭარბებულად ვიყავით გოგონები, ფეხდაფეხ მიჰყვებოდა. ასმეთაური არცერთი წუთით არ გვაკლებდა მზრუნველობას მთელი კვირის უძილოებს დასასვენებელ:ი ადგილი ქვემეხებით შემოგვირაგვა, თავები ფარაჯით შეგვიფუთა და განგაშიც ატყდა, ჩვენს მატარებელს მტრის მესერშმიდტები დაესხა თავს და ცეცხლი გაგვიხსნა, ვაგონებში დარჩენილები დაბლა ჩამორბოდნენ. ჩვენ წინადღით გარდაცვლილებს ამოვეფარეთ, ლამის ჩვენც გაქვავებულ გვამებს დავემსგავსეთ, ჯერ ისევ „თბილმა“ გვამებმა, — რომელთაგანაც მტერმა ვერ გამოგვარჩია, — სიცოცხლე გვაჩუქეს.

წიგნში, — „თბილისის უნივერსიტეტელი ქალები დიდ სამამულო ომში“, — თანამიმდევრობით ვკითხულობთ სტუდენტი გოგონების საგმირო საქმეებს. ესენი არიან: ვიოლეტა ცისკარიძე, ალექსანდრა კალანდაძე, ლიდა აროშიძე, მარიამ კახიძე, თამარ კოსტანაშვილი, ლოლა ლაგვილავა, მადონა მახარაძე, სოფიო მორჩილაძე, მარიამ მუშკუდიანი, ნუნუ ფოციტაშვილი, რაისა ჩანტლაძე, ნათელა ჩიტიშვილი, ქსენია ხოშტარია, ნათელა ხუტულაშვილი, მარგალიტა ჯოგლიძე და მრავალი სხვა. წიგნის ავტორი ი. ხაინდრავა-ბენიძე მობოდიშებით აუწყებს მკითხველთ, სრულყოფილი არ გამომივიდა მონათხრობი, ყველას ვერ მივაკვლიე, სრულყოფილად ვერ აღვნუსხე მათი საგმირო საქმეებიო.

საბრძოლო გზა, რომელიც მარიამ კახიძემ და მისმა თანამებრძოლებმა განვლეს კავკასიის მისადგომებიდან ბრესლაუმდე, ფათერაკებითა და მსხვერპლით იყო აღსავსე.

ერთხელ, ომის მიწურულში, მარო და მისი ათეულის მეთაური კალბაკიევი დაზიანებული ხაზის აღდგენაზე მუშაობდნენ. გერმანელებმა ცეცხლის წვიმა დაუშინეს. მამაცი მებრძოლები არ დაიბნენ, მიწას გაეკრნენ. სიკვდილს ერთხელ კიდევ პირისპირ შეეჯახნენ. დროზე მოსულმა საბჭოთა ავტომანქანების კოლონამ იხსნა ისინი დაღუპვისაგან.

გამარჯვების ღრმა რწმენამ, სამშობლოს დიდმა სიყვარულმა დაიფარა მარიამი ყველა განსაცდელისგან, რომელიც თან სდევდა მის ყოველ ფრონტულ საბრძოლო დღეს. ჯილდოებით მკერდდამშვენებული და შემოქმედებითი ენერგიით აღსავსე დაუბრუნდა ის საყვარელ თბილისს, სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განაგრძო. მშვენიერი ოჯახი შექმნა და დაკისრებული საქმისადმი ერთგულებითა და პატიოსნებით მრავალჯერ გამოიჩინა თავი. იყო თბილისის ქსოვილვაჭრობის სამმართველოს უფროსი, კალინინის რაიონის სურსათვაჭრობის დირექტორი, ამჟამად გლდანის რაიონის კვებვაჭრობის დირექტორის მოადგილე გახლავთ.

მისასალმებელი და საამაყოა, რომ საქართველოდან ომში წასულ 16 ათას პატრიოტ ქალთან ერთად მარიამ კახიძემაც პირნათლად აღასრულა ვალი სამშობლოს წინაშე.

ნანული ბუკია

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვერ გაგიმეტე... გიორგი!

## პირველი ანდერძი

ჩემს ჟურნალისტურ პრაქტიკაში რა წერილს თუ განცხადებას არ გადავყრივარ... ამ განცხადებას კი, ქვის გულიც რომ გქონდეთ, აუღელვებლად ვერ წაიკითხავთ, თვითონ განსაჯეთ...

„ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციას, მცხოვრები სოფელ ატენში (გორის რაიონი, საქართველოს სსრ), ატენის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი ციცინო ვიქტორის ასული შერმადინი-მანჯგალაძე ვაცხადებ: ჩემი მოკვლის შემთხვევაში, ჩემი დავა გორის რაიონის სახალხო სასამართლოსა და პროკურატურაში საბჭოთა კანონიერების დაცვით მიიყვანოს ბოლომდე ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციამ.

ჩემი უძრავ-მოძრავი ქონება სოფელ ატენში გახდეს სახელმწიფო საკუთრება და გადაეცეს საბავშვო ბაგა-ბაღს“.

ანდერძი იწერება ციცინო შერმადინის კარნახით ქალაქის საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში, რადგანაც ციცინო მძიმედ არის დაშავებული—თავგაჩეხილია.

მინაწერი: „1982 წლის 8 იანვარს დღის 16 საათზე, ქალაქ გორში, სასამართლოდან ასი მეტრის დაშორებით ყოფილმა ქმარმა, მამამთილმა და მაზლებმა (სინამდვილეს ძიება ადგენს, სასიკვდილოდ დაჭრეს ჩემი შვილი ციცინო შერმადინი. სამამულო ომის მეორე ჯგუფის ინვალიდი, შრომის ვეტერანი, სკკპ წევრი 1943 წლიდან, ციცინოს მამა, ვიქტორ მათეს ძე მანჯგალაძე. 15 იანვარი, 1982 წელი“

რა ხდება? სად ხდება? — იკითხავს მკითხველი. ეს მოხდა გორში, დღისით, მზისით და ისიც სახალხო სასამართლოს შენობის გვერდით. ამ დროს, არ ვიცით თემიდა იცინოდა თუ ტიროდა, მაგრამ გორისა და გორის რაიონის ადმინისტრაციული ორგანოები რომ განზე იდგნენ, ეს ფაქტია. ცხადია, ანდერძი სასოწარკვეთილი ადამიანის ნაფიქრალია და ორ მცირეწლოვან შვილს არავინ გაიმეტებდა სასიკვდილოდ, მაგრამ მამამიტოვებულ ბავშვებს, დედითაც დაობლების განაჩენს რომ გამოუტან, როგორ? ქვეყანა ჩალით არის დახურული?! არა, ჩალით არ არის დახურული, მაგრამ ზოგჯერ ავიწყდებათ ეს... თუმცა სჯობს ყველაფერი თავიდან დავიწყოთ.

## ბიჭო, გოგია, იპოვნე?

— ვერ ვიპოვნე!

გახსოვთ, ქართული ფოლკლორის ეს სევდიანი ამბავი? ჩემდაუნებურად ლევან გოთუას „უგზო ქარავანი“ გამახსენდა...

ახლა კი რასაც მე მოგითხრობთ, არც ზღაპარია და არც რომელიმე მოთხრობის სიუჟეტი. ნამდვილი ამბავია. გორის რაიონში არის ლამაზი სოფელი ატენი. კარგი ხალხია ატენელები. მძლავრადაც ცხოვრობენ. შრომაც იციან და მოლხენაც. ჰოდა, ამ რამდენიმე წლის წინათ საქორწინო სუფრა იყო გაშლილი ალექსი შერმადინის ოჯახში. მისი შვილი გიორგი შერმადინი ბედნიერდებოდა. თვალგასახარად ისხდნენ ნეფე-დედოფალი, თამადამ პირველი ბიჭი უსურვა... გვარის გამაგრძელებელი! ციცინოსა და გიორგიზე იძახდნენ, ფერი-ფერსაო, მადლი-ღმერთსაო! მაგრამ კაცი ბჭობდაო... ერთი წლის შემდეგ აირია შერმადინების ოჯახი. დედამთილს წინ ვინ დაუდგებოდა?! ახლადშეუღლებულებმა თავისი წილი მოითხოვეს. წილიო? — აფეთქდა ალექსი ბატონი. მეტი გზა არ იყო, ცოლ-ქმარი კემეროვისაკენ გაუდგნენ გზას და აქ დაიდეს ბინა. მერე ორი ბიჭიც შეეძინათ: მარადი და ზვიადი. მოსახდენიც აქ მოხდა. აგორდა და აგორდა ღალატისა თუ გულნამცეცობის უანგმოკიდებული ლოდი. ახლა გიორგის გაუწყრა ღმერთი და ერთ ქალს გადაეკიდა. ოჯახში უსიამოვნებამ დაისადგურა. ციცინომ მიატოვა კემეროვო და მამისეულ სახლში დაბრუნდა.

ციცინომ კანონიერად მოითხოვა შერმადინების ოჯახიდან თავისი და შვილების წილი. როგორც იყო ჯერ ალიმენტის დანიშვნას მიაღწია, შემდეგ 16 კვ მეტრი ფართის ოთახი გამოუყვეს აივნით. ეს როგორ გაბედაო რძალყოფილმა, კიდევ აფეთქდა ალექსი. ერთ დღესაც რძალი სცემეს. ეს იყო 1979 წელს. 1980 წელს კიდევ გამოიღეს ხელი. ახლა საქმეში მართლმსაჯულება ჩაერია, გორის რაიონის პროკურატურა და შინაგან საქმეთა განყოფილება, და მთელი თავიანთი იურიდიული ცოდნა-გამოცდილება ალექსი შერმადინის ოჯახის დაცვას მოანდომეს. შემდეგ ისიც იკადრეს შერმადინებმა, რომ ბავშვების წილი ნაკვეთი თვითონ გამოკრიფეს და შვილიშვილებს მოსამცვრევიც არ დაუტოვეს! ისევ სასამართლო. 1982 წლის 8 იანვარს ირჩეოდა მათი საქმე. შერმადინებმა აცილება მისცეს სასამართლოს. შინ ბრუნდებოდა ილაჯგაწყვეტილი ქალი. უფრო სწორად, პარტიის რაიონულ კომიტეტში აპირებდა მისვლას სამართლის საძიებლად. გზად ავადსახსენებელი სამჭედლო უნდა გაევლო. იქ დაუხვდა ქმარყოფილი გიორგი. სამჭედლოდან რკინის ნაჭერი გამოიტანა და ციცინო ძირს დააგდო. მერე ერთიც წაქცეულს ჩასცხო! ქალი მიატოვა და გაიქცა. აფერუმ გიორგი! როგორ მოახერხე?! შენი შვილების დედას მოერიე?! ვის სისხლში გაისვარე ხელი?! უმამობას რას ემართლებოდი ბავშვებს, დედასაც რომ უკლავდი?!

ახლა რომ ბევრიც დაიკბინო თითები და თავი მოიკატუნო ასე იყო და... აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. გარს უვლიდნენ მართლმსაჯულების მსახურები ამ ამბავს.

## სასამართლო

ცოტა კი არა, კარგად დასცხათ გორში ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლებს. მერე პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომაც იმსჯელა საქმის თაობაზე და ყველას თავისი მიუზღო. სამართალმა პური ჭამა!

19 იანვარს დაიწყო სასამართლო პროცესი და 12 დღე გაგრძელდა. ახლა არ იტყვით, რით დამთავრდა?! ჯერ განაჩენს მივყვეთ.

„1982 წლის 8 იანვარს სასამართლოს შენობაში ციცინო შერმადინმა მას (ლაპარაკია გიორგი შერმადინზე.) და მის ახლობლებს რამდენჯერმე მიმართა უცენზურო სიტყვებით, მაგრამ არ გამოეპასუხნენ. როდესაც სასამართლო აცილების საკითხის გადასაწყვეტად სათათბიროდ შევიდა, შედევის გამოცხადებამდის სწორედ ციცინო შერმადინისაგან გარიდების მიზნით წავიდა გიორგი სასამართლოს შენობიდან და გაჩერდა სამჭედლოს შესასვლელ კარებთან. მასთან ერთად სასამართლოდან წავიდა მამამთილი, რომელიც პირდაპირ სოფელ ატენისაკენ გაუყვა გზას. გიორგი სამჭედლოსთან ელოდებოდა ძმას გურამ შერმადინს და ადვოკატს, რათა საქმის შინაარსი შეეტყო, ვინაიდან იმ დღეს თავისიანებს ვერ შეხვდებოდა და მეორე დღემდის არა ჰქონდა შესაძლებლობა საქმის შედეგი გაეგო. დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ მას ზურგიდან მოულოდნელად მიუახლოვდა ციცინო შერმადინი, რომელმაც შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართა ქმარყოფილს, რამაც აღელვა იგი, შევარდა სამჭედლოში, მაგიდიდან აიღო რკინის ნაჭერი, და რამდენიმეჯერ დაარტყა თავის არეში ციცინო შერმადინს, რომელიც დავარდა ტროტუარზე. ჩასთვალა, რომ იგი უკვე მოკლა, განერიდა იქაურობას და წავიდა შემთხვევის ადგილიდან“.

და შემდეგ: „ამდენად გიორგი შერმადინს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ციცინო შერმადინის მკვლელობის განზრახვა გაუჩნდა სულიერი აღელვების მდგომარეობაში მყოფს, რაც გამოწვეული იყო დაზარალებულის მხრიდან მძიმე შეურაცხყოფით".

რა დიდი მოთმინება გაქვს, ქაღალდო!

არც წითლდები! ისევ შენს ფურცლებზე დაიწერა, რომ ბრალდებულს გიორგი შერმადინს სასჯელად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა სამი წლის ვადით... შემდეგ განაჩენს აღსრულება გადაუვადდა ორი წლით (ისიც ჩაეთვალა, რაც იჯდა) და: „გიორგი შერმადინი გათავისუფლებულ იქნეს პატიმრობიდან, სასამართლო დარბაზიდან"...

განაჩენი, როგორც ხედავთ ძალიან მარტივ არგუმენტებზეა აგებული! გადამეტებული გულჩვილობა ხომ არ იყო სასამართლოს მხრიდან? ასეთი კითხვებიც დამებადა: რატომ გაჩერდა გიორგი შერმადინი მაინცდამაინც სამჭედლოსთან, როცა მანამდე სასურხათო მაღაზიაა? (ცხადია, მაღაზიაში რკინები არ არის), ქალის სასიკვდილოდ განწირვა მარტო მისი მხრიდან შეურაცხმყოფელი სიტყვებით იყო გამოწვეული? (ციცინო ამას უარყოფს). და ბოლოს: ლანძღვა-გინებისათვის შეიძლება მოკლა შენი შვილების დედა? ფაქტია, რომ ასეთ ფინალს არავინ მოელოდა. ვფიქრობ, თვითონ ციცინო შერმადინიც... რა მოხდა?

## პატარა ჩანახატი

ციცინო შერმადინი ჩემს წინ ზის. ის მშვიდად და სალად სჯის. არ დამიმალავს, რომ ცოტა აზრიც შემეცვალა მასზე, რწმენაშიც ბზარი გამიჩნდა. განაჩენს ვუკითხავ:

„სასამართლო პროცესზე განხილვის დროს დაზარალებულმა ციცინო შერმადინმა წარმოადგინა სამართალში მიცემულის გიორგი შერმადინის მიერ მიწერილი წერილი, რომელშიც გიორგი შერმადინი სთხოვს შერიგებას და ოჯახური მთლიანობის აღდგენას. თავის დაკითხვაში ციცინო შერმადინმაც გამოთქვა სურვილი, რომ იგი თანახმაა სამართალში მიცემულთან აღადგინოს ცოლქმრული ურთიერთობა, რაც გამომდინარეობს არა მარტო ოჯახის აღდგენის ინტერესებიდან, არამედ მათი ორი მცირეწლოვანი შვილების აღზრდის ინტერესებიდანაც". ღმერთმა ინებოს!

— მართალია, ეს ციცინო? — ვეკითხები მას.

— კი მართალია!

აი წერილის ნაწყვეტი:

„სალამი ციცინოს კუკურისაგან.

...ხომ იცი ჩემი შვილები როგორ მიყვარს. შენ გგონია, რომ ამაზე არ ვფიქრობ? დარწმუნებული ვარ, რომ ვალია (მეორე ცოლი) აქ გამჩერებელი არ არის. კარგად დაფიქრდი, ჩემს შვილებს მეტი ვინ უპატრონებს ან ვის შესტკივა გული ჩემს და შენს გარდა, ხომ იცი როგორ მიყვარხარ... ჩვენ ისევ ერთნი ვიქნებით და მე მგონი ამას არავინ არ დაგვძრახავს...

ციცინო თუ შენ გააკეთებ სასამართლოზე ყველაფერს, რომ სასჯელი შემიმსუბუქდეს, დამერწმუნე, რომ ამით მალე დაიბრუნებ შენი ქმრისა და შვილების მამის ალერსსა და მზრუნველობას, დამერწმუნე...

ძალიან კარგი... ციცინო, შეიცვალა რამე თქვენს ურთიერთობაში?

— არაფერი...

— არაფერი მესმის!

ციცინო გადაბეჭდილ ფურცლებს მთავაზობს. მოცალეობის ჟამს წერს თურმე... წერს თავისი გამწარებული სიცოცხლის შესახებ.

ერთ ჩანახატზე შეჩერდა.

— ეს წაიკითხე!

წავიკითხე... გული მეტკინა, ქალის გული წერდა....

## „ოჯახი"

— შენ გგონია შენზე მწყდება გული, შენ მენანები?

არა, სულაც არა!

მე სულ სხვა ოჯახური სითბო მენატრება.

ის წუთები, როცა საყვარელ მეუღლეს მოელის ქალი და საათზე წამებს ითვლის, როდის გამოჩნდებაო.

მე ის მენატრება, როცა ქმარი ზღურბლს გადმოაბიჯებს, შეფიქრიანებული, წამით ცოლსა და შვილებს შეათვალიერებს, ხომ არაფერი უჭირთო და თუკი ყველაფერი რიგზეა, ცოლ-შვილის სიყვარულით თბილად, გულალალად გაიღიმებს, გაიბადრება.

მე მენატრება კიდევ იცი რა?

მოფერება, ალერსი, სითბო და სიყვარული და ეს ყველაფერი კუთვნილი მინდა და არა სხვისი ზიარი.

მე ოჯახური სითბო და სიმყუდროვე მინდა, მინდა, როგორც სხვა ქალი, მეც მოველოდე ჩემს მეწყვილეს, მეც მათბობდეს მისით ოჯახში შემოსული სითბო.

შენ?

შენ არასოდეს მომენატრები, არასოდეს დამენანები.

და იცი რატომ?

— იმიტომ, რომ ულირსი ხარ!

განა შეიძლებოდა ყველაფრისათვის ისე გადაგესვა ხაზი, წარბიც არ შეგტოკებოდა? ყველაფერი დაგენგრია და წაგეშალა ისე, რომ ხელიც არ აგკანკალებოდა?

— არა! — ეს შეუძლებელი იყო. მაგრამ შენ ეს შესძელი, შესძელი ადვილად დაგეთმო ყველაფერი; იმიტომ, რომ ფასი არ იცოდი, დღესაც არ იცი და ალბათ ვერასოდეს გაიგებ, აბა შენ რას გაიგებ რას ნატრობენ, რაზე ჩურჩულებენ მამისაგან მიტოვებული პაწაწინა ბავშვები? რას მეკითხებიან მამის სითბოსა და ალერსს მოკლებულნი, კაცურ მოფერებას დანატრებულნი? ყველა გამვლელ მამაკაცს რომ თვალებში შესცქერიან და შესციცინებენ, იქნებ დაგვიძახოს: — მოდი შვილო, მე თქვენი მამა ვარო.

თუმცა რა უნდა გითხრა, რა გელაპარაკო. შენ ჩემს ენას ვერასოდეს გაიგებ. მე კი შენს ენაზე არასოდეს ვილაპარაკებ. ც. შერმადინი, 25 სექტემბერი, 1981 წელი".

ჩაიკითხეთ? მეც ბევრი ვიფიქრე, მაგრამ მაინც დავუსვი ციცინოს სავსებით ბუნებრივი კითხვა.

— მერე? მერე? ციცინო?

— რა მერე... შვილებს მამა არ ენახათ, სასამართლო პროცესზე ნახეს. მუხლებზე ჩამოისხა ჩიორებივით. მერე ეს მწარე 12 დღე სულ იმას მეკითხებოდნენ და მევედრებოდნენ, დედიკო, მამა გვეყოლება? დედიკო, მამას არ დააჭერინებ? დედიკო, მამას გამოუშვებენ? დედიკო, რა კარგი ყოფილა მამა?... რა მექნა? არ ვიცოდი, რა მექნა! მეც გადავწყვიტე, იქნებ გალხვეს ყინული მეთქი!

ახლა მართლმსაჯულების მსახურთ ვეკითხებით: თქვენ სწორი პოზიცია დაიკავეთ იმ ნაწილში, რომ ოჯახი აღმდგარიყო. ამას მივესალმებით, მაგრამ ნუთუ არ იცოდით, რომ გიორგის მეორე, კანონიერი მეუღლე ჰყავს და ცხოვრობს გორში?! მერე რა ვუყოთ თუ იმ ქალს შვილები არა ჰყავს! თქვენ რა, ბიგამიის მომხრენი ხართ? შეიძლება ეს არ გცოდნოდათ?. საეჭვოა, ღმერთმანი! განა ეს ციცინომ არ გითხრათ? ისიც არ იცოდით, რომ ციცინოსა და გიორგის გაყრა მოხდა კემეროვოში ციცინოს დაუსწრებლად. არა და ისევ საზიარო სარეცელი და სიყვარული? აქვს ამ განაჩენს ლოგიკა და დასასრული? არა, რა ხდება, საღამოობით გიორგი ციცინოს და შვილებს შეუვლის (სხვანაირად როგორ იქნება? მასზე ხომ კონტროლია დაწესებული?) და ვალს იხდის, რომ განაჩენს ნამდვილი მიმართულება არ მიეცეს... ციცინო მიტყდება: გიორგის ჩანახატიც წავაკითხეო. აქ ხომ ყველაფერია, ქალური ლმობიერებაც და სიყვარულის გაცხადებაც, ვედრებაცა და მომავალზე ზრუნვაც!

— მერე? — ვეკითხები ციცინოს, რომ წაიკითხა რა გითხრა?

— ადგა და წავიდა!

ისევ ის ჩიტები გამახსენდა...

— ბიჭო, გოგია, იპოვნე?

— ვერ ვიპოვნე!..

ასე ვერ იპოვნი, გოგია... ორი კურდღლის მადევარიო, ხომ გაგიგონია? ისიც ვიცით, რომ სიყვარული ბრძანებით არ მოდის, მაგრამ შენ არ დაწერე ის წერილი? შენ არ გინდოდა მშვიდობა და ოჯახის გამთელება? ამ კითხვებს შენ უნდა უპასუხო... მხოლოდ შენ! ნეტავი შენი ბიჭებისაგან მოგასმენინა მოლაღურებივით რომ გადასძახებდნენ ერთმანეთს:

— მარადი, იპოვნე?

— ვიპოვნე, ზვიად, ვიპოვნე!... მამიკო ვიპოვნეთ!

ეჰ, ვერ გაგიმეტეს, გიორგი!

...საქმე ერთხელ კიდევ დაირღვა... საქმეში ქალაქის პროკურატურა ჩაერია. ჩაერია და სწორადაც მოიქცა. 1983 წლის 28 ოქტომბერს კასპის რაიონის სახალხო სასამართლომ 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა გიორგი შერმადინს გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

თემიდამ მაინც იზეიმა.

ჩვენ კი უკმარისობის წერტილი უნდა დავუსვათ ამ ამბავს: ვერ გაგიმეტეს ბიჭო, გიორგი... შენ, შენ რად გაიმეტე შენი შვილები? და განა მარტო შვილები?

ბეგლარ ნოზაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი საოჯახო კლუბი

## ინგილოური კერძები

### ფლავი ქათმით

ავილოთ ოთხი ჭიქა ბრინჯი. კარგად გავარჩიოთ და გავრეცხოთ. ჩავყაროთ ადუღებულ მარილიან წყალში და ვხარშოთ. მალიმალ კოვზით გავსინჯოთ, რომ არ გადაიხარშოს, ოდნავ ხარშვა რომ დააკლდება, გავწუროთ თუშფალანგში.

ქვაბში, სადაც ბრინჯი მოვხარშეთ, ჩავდოთ ორი სუფრის კოვზი კარაქი და გავადნოთ. გადმოვდგათ ცეცხლიდან. შიგ ჩავყაროთ: ორი სუფრის კოვზი ბრინჯი (მოხარშული), ადრე მომზადებული ორი თავი მოხრაკული ხახვი, სამი კვერცხი, ერთი კოვზი მაწონი და ავურიოთ ერთმანეთში. ეს ნაზავი გავშალოთ ქვაბის ძირზე. შუაში ცოტა ადგილი შევინახოთ ქათმისთვის. ერთი ახალგაზრდა, 3-4 თვის ქათამი კარგად გავასუფთაოთ, მკერდზე გადავჭრათ, მოვაყაროთ მარილი, ზურგით დავდოთ ქვაბის ძირზე და ერთი კოვზი კარაქიც ქვეშ ამოვუდოთ, რომ კარგად დაიბრაწოს. ზედ დავაყაროთ მოხარშული ბრინჯი. დავხუროთ სახურავი და დავდგათ ნელ ცეცხლზე. ვატრიალოთ ქვაბი, რომ ქვაბის ძირის ყველა ნაწილს ხვდებოდეს ცეცხლი და ქათამი იბრაწებოდეს.



ყოველ ხუთ წუთში ავხადოთ ხუფი და გადავწუროთ წყალი. ასე დავტოვოთ ნელ ცეცხლზე ნახევარ საათს. მერე გადმოვიღოთ ცეცხლიდან. გავადნოთ კარაქი, დავასხათ ფლავზე კოვზით. ქვაბის ძირზე იქნება შეწითლებული ფაფაჭყელა (ქერქი), რომელიც დავადოთ ფლავს, მერე მოვაპირქვაოთ ფაიფურის სინზე და ისე მივიტანოთ სუფრაზე.

### ვაზის ფოთლის ტოლმა

ავილოთ სამასი გრამი ღორის მსუქანი ხორცი, ამდენივე ძროხის ხორცი და გავატაროთ ხორცსაკეპში. ორი თავი ხახვი დავჭრათ დანით ძალიან წვრილად. ნახევარი კონა ქინძი და ოხრახუში, ერთი ჩაის ჭიქა ბრინჯი, თითო ჩაის კოვზი ხმელი სუნელი, მარილი, აჯიკა ერთმანეთში ავურიოთ; ყოველივე ცომივით ავზილოთ, ვაზის ფოთოლზე დავდოთ თითო სუფრის კოვზი ფარში და მრგვალად შევახვიოთ. ქვაბის ძირზე დავდოთ 2-3 ნაჭერი ძვლიანი ხორცი, ზევიდან დავაწყოთ ტოლმა. ზედ დავამხოთ პატარა თეფში, დუღილის დროს რომ არ დაიშალოს, დავასხათ ერთი ჭიქა (ან ცოტა მეტი) წყალი და ვადუღოთ ნელ ცეცხლზე ერთი საათი. სუფრაზე მივიტანოთ ცხელი.



### გირცი

ხორცსაკეპ მანქანაში გავატაროთ 250 გრამი ძროხის და ამდენივე ღორის ხორცი. თუ მსუქანია მოვხრაკოთ თავის ქონში, თუ არა, დავუმატოთ ცოტა კარაქი. ვხრაკოთ 10-15 წუთს. ხშირად ვურიოთ, რომ ერთმანეთს არ მიეკრას. ავილოთ ორი თავი ხახვი, ცალკე მოვხრაკოთ და მოხრაკულ ხორცს დავუმატოთ. გადმოვდგათ ცეცხლიდან. დავუმატოთ ნახევარ-ნახევარი კონა ქინძი და კამა, ერთი ჩაის კოვზი ხმელი სუნელი, ერთი ჩაის კოვზი აჯიკა და მარილი.

გავცრათ თეთრი პურის ფქვილი. ოდნავ შემთბარი წყლით მოვზილოთ მაგარი ცომი, გავყოთ ოთხ ნაწილად. თითო ნაწილი ხის საგორავით ძალიან გავათხელოთ. ჩაის ჭიქით დავჭრათ მრგვალ ნაჭრებად. თითო მრგვალ ნაჭერზე დავდოთ თითო სუფრის კოვზი საკმაზიანი ხორცი და პირები შევუკრათ. მივიღებთ ნახევარმთვარის ფორმის გირცებს. თითო-თითოდ ჩავყაროთ ადუღებულ მარილიან წყალში. ვადუღოთ 5-7 წუთი, გადმოვიღოთ ქაფქირით მომინანქრებულ სინზე. სუფრაზე მივიტანოთ ცხლად.

### ფოთოლა ხინკალი ქათმის ხორცისაგან

ახალგაზრდა ქათამი კარგად გავასუფთაოთ, დავჭრათ და მოვხრაკოთ. დავუმატოთ 3-4 თავი წვრილად დაჭრილი ხახვი. მოვაყაროთ მარილი, დავუმატოთ ხორცს და განვაგრძოთ ხრაკვა. ოთხი კვერცხი გავთქვიფოთ და დავუმატოთ ხორცს. დავაყაროთ მწვანილი. ერთი-ორი წუთი დავაცალოთ, რომ გამაგრდეს, მერე მოვურიოთ და გადმოვიღოთ ცეცხლიდან.

მოვზილოთ უმაღლესი ხარისხის ფქვილის ცომი. გავყოთ ოთხ ნაწილად. თითოეული ნაწილი ძალიან გავათხელოთ, ბოლოს დავახვიოთ საგორავზე — გასათხელებელ ჯოხზე და გავჭრათ სიგრძეზე ჯოხის გასწვრივ, ავილოთ ჯოხი ზევიდან და ისევ იმავე მიმართულებით გავჭრათ ცომი. ხოლო ოთხ ადგილას კი — იმის საწინააღმდეგო მიმართულებით. მივიღებთ ოთხკუთხა ცომის ფურცლებს. ეს ცომის ფურცლები თითო-თითოდ ჩავყაროთ ადუღებულ მარილიან წყალში. განვაგრძოთ ხარშვა 5-7 წუთი, (ქვაბი დიდი უნდა იყოს, რომ ცომი არ მიეწებოს). გადმოვიღოთ და გავწუროთ ფლავსაწურში. გადავიღოთ ფაიფურის დიდ სინზე. ზედ დავაყაროთ უკვე მომზადებული ქათმის ნაჭრები და მივიტანოთ სუფრაზე ცხლად.



### დოვლა

ჭიქანახევარი ბრინჯი კარგად გავარჩიოთ და გავრეცხოთ, ჩავყაროთ მომინანქრებულ საშუალო ზომის ქვაბში. ჩავახალოთ ორი კვერცხი და ერთი წუთი ვთქვიფოთ ბრინჯთან ერთად. ერთლიტრიანი ქილიდან ნახევარი მაწონი სხვა ქილაში გადავცალოთ. ორივეს დავასხათ წყალი ისე, რომ ავსებას ცოტა დააკლდეს, დავახუროთ პლასტმასის სახურავი და ვდღვიბოთ ხუთ წუთს. ორივე ქილის დო დავასხათ ბრინჯს. დავუმატოთ ერთი ქილა წყალი და მოვურიოთ. დავდგათ ცეცხლზე და განვაგრძოთ რევა ადუღებამდე (რომ არ აიჭრას). ერთი კონა ნიახური, ნახევარ-ნახევარი კონა ქინძი და კამა დავჭრათ წვრილად. დავუმატოთ ადუღებულ წვნიანს. დავაყაროთ ერთი სუფრის კოვზი მარილი. ვადუღოთ 20-30 წუთს. მიირთვით ცხლად.

ლ. ხუციშვილი,
დიასახლისი.

კახი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სილამაზეს მსაჭიროება ვიტამინები...

ეს არის ვიტამინი $B_2$ ანუ რიბოფლავინი, რომელსაც ადრე ლაქტოფლავინი ეწოდებოდა. იგი ორგანიზმს, ისევე როგორც ვიტამინი $B_1$ (ტიამინი), შაქრის გადამუშავებაში ეხმარება.

თუ სარკეში ჩახედვისას ამჩნევთ, რომ სახეზე ნაოჭები გიმრავლდებათ, ტუჩების კუთხეები გისკდებათ და თმა ცხიმიანი გაგიხდათ, გამორიცხული არ არის, ეს ყველაფერი რიბოფლავინის ნაკლებობის შედეგი იყოს. მსგავსი სიმპტომები რკინის ნაკლებობასაც ახასიათებს. $B_2$-ის ნაკლებობამ შეიძლება კატარაქტაც გამოიწვიოს. ამ ვიტამინით მდიდარია რძე და ყველი. რძე დღეში დაახლოებით 1 ლიტრა უნდა მიირთვათ. რძე განსაკუთრებით საჭიროა მძიმე ფიზიკური შრომისას. რიბოფლავინს შეიცავს, აგრეთვე, ფოთლოვანი ბოსტნეული, მარცვლეული კულტურები, ჭვავის პური, ფრინველების შიგნეული და ხორცი.

ორგანიზმში ვიტამინ $B^2$-ის შემცველობა შეიძლება დაქვეითდეს ზოგიერთი წამლის მიღებისა და ფარისებური ჯირკვლის არასწორი ფუნქციონირების შედეგად. ასეთ შემთხვევებში ორგანიზმი $B_2$ ვიტამინს დიდი რაოდენობით თხოულობს. ვიტამინ $B_2$-ს ანადგურებს, აგრეთვე, ანტიბიოტიკები და დამაწყნარებელი პრეპარატები. ამ ვიტამინით ყველაზე მდიდარია: საფუარი, რძე, ყველი, კვერცხი, კაკაო, შვრია, თევზი, ისპანახი, კარტოფილი, ვაშლი, ყვავილოვანი კომბოსტო, ბარდა.

თუ რძეს ან ხორცს მზეზე გააჩერებთ, ისინი დაკარგავენ ვიტამინ $B^2$-ს. როცა საკვებს ამზადებთ, ვიტამინის დაუანგვა რომ არ მოხდეს, ქვაბს ხუფი უნდა დაახუროთ. ნუ გადააქცევთ ბარდის და ლობიოს ნახარშს, იგი რიბოფლავინს შეიცავს.

## ცხიმიანი და ფართოფორებიანი კანი

ქალებს, რომელთაც მშრალი კანი აქვთ, დიდი შრომა სჭირდებათ მის მოსავლელად. მთავარია, ასეთი კანის კარგად დაბანა ან გაწმენდა. დასაბანად უნდა იხმაროთ მაღალი ხარისხის ცხიმიანი საპონი და თბილი წყალი. ცხიმიანი კანის მოვლისას კარგ ეფექტს იძლევა სალიცილის სპირტი და მცენარეთა ნაყენები. ეს უკანასკნელი შეგიძლიათ შინაც მოამზადოთ. ავიღებთ, მაგალითად ერთ მუჭა იასამნის ყვავილს, სამფერა იას (იაუუუუნას), პიტნას, გვირილას (იგულისხმება გამხმარი) დავასხამთ ორ ჩაის ჭიქა სპირტს და დავდგამთ 1-2 კვირით. ამის შემდეგ გავწურავთ, ჩავასხამთ ბოთლში და ყოველი დაბანის შემდეგ ამ ხსნარით გავიწმენდთ სახის კანს. შეიძლება 1 მუჭა გვირილას, პიტნას და ურცს (Чабрец) დაასხათ 1 ჭიქა სალიცილის სპირტი და დადგათ 1 კვირით. გაფილტვრის შემდეგ ამ ნაყენს შეგიძლიათ დაუმატოთ ლიმონის წვენი — ნახევარ ჭიქა ნაყენს დაუმატებთ 1 ლიმონის წვენს და ჭიქას შეავსებთ ანადუღარი ცივი წყლით.

## ქატოს ნიღბები

მკვებავი კრემების გარდა დროდადრო კანზე უნდა დაიდოთ რომელიმე მკვებავი ნიღაბი, რომელიც შეგიძლიათ დაამზადოთ რძისა და საფუარისაგან (ფაფისებური მასა), კვერცხის გულის, თაფლისა და ზეთისაგან, ახალი ხაჭოსაგან, აგრეთვე პურის ფქვილის ქატოსაგან. ეს უკანასკნელი ძალიან სასარგებლოა ცხიმიანი კანისათვის. ეს პროცედურა საკმაოდ იოლია. დასველებული ქატოთი გაიწმენდთ სახის კანს და შემდეგ ჩამოიბანთ თბილი წყლით, შეგიძლიათ კვირაში 2-3-ჯერ გაიმეოროთ.

ცხიმიანი თმისათვისაც კარგია, თმის ძირებში ქატოს შეზელვა. იგი შეიცავს მკვებავ ნივთიერებებს, B ჯგუფის ვიტამინებს და ისეთ მიკროელემენტებს, როგორებიც არის კალციუმი, ნატრიუმი, კალიუმი, მაგნიუმი, ფოსფორი, რკინა, ცინკი.

ჟურნალი „გოსპოდინი“,
თარგმნა ელვირა ხარატიშვილმა.

## ფერად-ფერადი

მსოფლიოში ყველაზე დიდი ოჯახი ბრაზილიაში ცხოვრობს. ლუიც და კლორიდა დ' არარაშს 145 ბავშვი ჰყავთ. თუმცა მათგან მხოლოდ სამია საკუთარი. 1967 წლიდან მათ იშვილეს 142 ობოლი. ამჟამად ოჯახში 20 ძუძუთა ბავშვია, 38 — ბაგის ასაკისა, 82 მოსწავლე და სტუდენტი, 5 უმაღლესდამთავრებული.

ბედნიერი მამა პოლიციაში მუშაობს. დღეში ორჯერ არიგებს ბავშვებს ბაღებში, სკოლებში, კოლეჯებში და თვითონვე მოჰყავს შინ. დედა, რომელსაც ყველა „დედა კლოს“ ეძახის, არა თუ უჩივის დაღლილობას — ოცნებობს 300-მდე გაზარდოს შვილობილების რიცხვი.

გაზეთი „ზა რუბეჟომ“

გარეკანის პირველ გვერდზე — ვ. ი. ლენინის ძეგლი ზაჰესში: მეოთხეზე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ირა გოგებაშვილი

მთავარი რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი
Главный редактор МАРИКА БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია: გ. ბანძელაძე, ნ. ბაფრინდაშვილი, ნ. ბურბენიძე, ლ. კაკაბაძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, ნ. ქვანია, პ. ქლენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. შალუტაშვილი, ლ. შეწირული, ნ. ცაგარეიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, 380096. Тбилиси, Ленина, 14.
Адрес редакции: 380096. Тбилиси, Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 6. 03. 85. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22. 04. 85 წ. ქაღალდის ზომა 60X90$^1/_8$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.8.



Условных печатных листов 3, учетноиздательских листов 5,8. ტირაჟი 140 000. შეკვ. № 596. უე 11480

ეროვნული ბიბლიოთეკა




„საქართველო დიდება შენდამი".

დ. იაკობაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფასი 30 კაპ

ინდექსი 76178